# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№127 (9807) 2024 წლის 6 ნოემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი

ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა!



## მეთიუ ბრაიზა:

## არ მახსენდება შემთხვევა, როდესაც ეუთო ან ევროკავშირი ვინმეს აიძულებდეს რამის გამოძიებას

2

არჩევნები უცხოელებმა ჩაგვიტარონო, რომ ითხოვენ, უცხოელებს გაეროს ეგიდით ჩატარებული აქვთ არჩევნები მხოლოდ იქ, სადაც იყო სამოქალაქო ომი

სოსო სიგუა

## გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი!



5




3

## უკრაინის ომს მსხვერპლად ეწირება ევროპის ინტერესები

### ირაკლი კობახიძე ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტში მიიღებს მონაწილეობას

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე 7 ნოემბერს ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება.**

ევროპის პოლიტიკური გაერთიანების მეხუთე სამიტზე განსახილველი ძირითადი თემაა ევროპის უსაფრთხოების გამოწვევები. სამიტის ფარგლებში გათვალისწინებულია თემატური დისკუსიები მიგრაციისა და ეკონომიკური უსაფრთხოების, დაკავშირებადობის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და გლობალური ვაჭრობის შესახებ.

დაგეგმილია პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის სიტყვით გამოსვლა პანელურ დისკუსიაზე, რომლის მთავარი თემაა ეკონომიკური უსაფრთხოება და დაკავშირებადობა.

ევროპის პოლიტიკური გაერთიანების რიგით მეხუთე სამიტში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.

ელდარ ნადირაძე –



7

## გამოჩენილი ეთნოლოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

## ვერაგი ოპოზიცია და დასავლეთი არჩევნებში სამართლიანად მოპოვებული გამარჯვების უტიფრად წართმევას ცდილობენ

ომარ მარგველაშვილი



„ჭკუით, ქართველებო“!

6–7

## ქართული ფრესკების ასლები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან

12

ბესარიონ ხვინთელიანი



## კაცი, რომელსაც ეამაყება თავისი ქართველობა

8



# არაადეკვატური ჭიჭე ვაშაძის და მისი ამქრის მოთხოვნები არჩევნების შედეგების გამოძიების შესახებ უცხოელებისთვისაც სასაცილოა

**„არჩევნები უცხოელებმა ჩაგვიტარონო, რომ ითხოვენ, უცხოელებს გაეროს ეგიდით ჩატარებული აქვთ არჩევნები მარტო იქ, სადაც იყო სამოქალაქო ომი“**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი მეთიუ მილერი მეტად უცნაურ განცხადებას აკეთებს, რომ ამერიკა თავის ევროპელ კოლეგებთან ერთად მსჯელობს იმაზე, თუ რომელ ორგანოს შეუძლია საქართველოში ჩატარებული საარჩევნო დარღვევების გამოძიება.**

**ცხადია, ასეთი გამოძიების დაწყება საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის საქმეებში ჩარევა იქნება, რაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სააკაშვილთან დაახლოებულ ყოფილ მაღალჩინოსან მეთიუ ბრაიზასაც კი უკვირს და ვერ იხსენებს, არსებობს თუ არა მსგავსი პრეცედენტი და მომხდარა თუ არა საერთაშორისო პრაქტიკაში არჩევნების შედეგების გამოძიება.**


მეთიუ ბრაიზა

**„ეს საკმაოდ უჩვეულოა. უცებ დაფიქრებისას არ მახსენდება შემთხვევა, როდესაც ეუთო ან ევროკავშირი ვინმეს აიძულებდეს რამის გამოძიებას“, – აცხადებს მეთიუ ბრაიზა, რომელიც ერთ დროს სააკაშვილმა „ოქროს საწმისის“ მედლით დააჯილდოვა.**

ამის მიუხედავად, ქართველი რადიკალები არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოძიების დაწყებას ერთ ხმაში ითხოვენ ისე, რომ არ უკვირდებიან, ყოფილა თუ არა ამის პრეცედენტი მსოფლიოში და, თუ ყოფილა, ეს სამოქალაქო ომს ხომ არ უკავშირდებოდა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის გახვევას რადიკალური ჯგუფები თავგამოდებით ცდილობენ?!

გიორგი ვაშაძე ულტიმატუმის წაყენების რეჟიმშია. ის მუქარის ტონით უთვლის მმართველ გუნდს, **„პასუხს ველოდები „ქართული ოცნებისგან“, მზად არის თუ არა საერთაშორისო, მიუკერძოებელი გამოძიებისთვის, ვინაიდან პროტესტი იქნება მწვავე, ისეთი, რომელიც გამარჯვებამდე მიგვიყვანს“.**

**მამუკა ხაზარაძეც** საერთაშორისო გამოძიებაში ხედავს გამოსავალს და ამბობს, რომ საერთაშორისო საზოგადოებასთან არჩევნების გამოძიების კუთხით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. **ანა დოლიძეც** მოითხოვს, სასწრაფოდ ჩამოვიდეს ევროკავშირის საგამოძიებო კომისია, ვინაიდან არსებობს მსხვერპლებსა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, ასევე, მტკიცებულებების განადგურების საშიშროება.

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე** დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო საარჩევნო ან საგამოძიებო კომისია ობიექტური არ იქნება. მისი თქმით, გამოძიების ჩატარება პრობლემა არ არის, უბრალოდ, ამოცანა ის არის, საერთაშორისო საარჩევნო ან საგამოძიებო კომისია ობიექტური იქნება თუ არა.


მეთიუ მილერი

**„ვფიქრობ, ობიექტური არ იქნება, მაგრამ მოახერხებს თუ არა, რომ არაობიექტური იყოს, ეს სხვა საკითხია, რადგან მკაფიოდ გამოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს იმ კურსს, რაც ხელისუფლების მიერაა აღებული, რომ საქართველო არ დამორჩილდეს დასავლეთის ინტერესებს. თუ დასავლეთი გეტყვის, რომ ომი მინდა, უნდა დამორჩილდეს საქართველო და გააკეთოს აქ ფრონტი თუ არა? ეს იყო ცენტრალური ფორმულა ამ არჩევნებში ხელისუფლების მხრიდან და სწორედ ამ საკითხის გამო დაიკავა ხელისუფლების მხარე მოსახლეობამ“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ, რომლისთვისაც გაუგებარია, რატომ ელოდება ოპოზიცია ხელახალი არჩევნების შემთხვევაში განსხვავებულ შედეგს?!**

**ყოფილა თუ არა პრაქტიკაში, რომ საერთაშორისო მიუკერძოებელი გამოძიება ჩართულიყო არჩევნების შედეგების გამოძიებაში?** ამის მაგალითად ხშირად 1999 წლის კოსოვო, 2017 წლის კენია მოჰყავთ, ანუ ქვეყნები, სადაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებაა.

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე for.ge**-სთან საუბრისას ინტერესდება, რომელ საერთაშორისო გამოძიებაზე ლაპარაკობენ გიორგი ვაშაძე და მისი ამფსონები, როცა ჭიჭე ვაშაძეს დასცინიან საკუთარი ახლობლები და ნათესავებიც კი, იმდენად არაადეკვატური, ოდიოზური ფიგურაა, ის პოლიტიკოსად არც მოიაზრება.

**„სირცხვილია, რომ ნაცრეჟიმის დროს ვაშაძე გარკვეულ თანამდებობებზე იყო. რასაც გიორგი ვაშაძე და მისი ამფსონები იტყვიან რადიკალური ფლანგიდან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საქართველო სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანაა. არ შეიძლება აქ გარე ჩარევა, რაღაც კომისიების შექმნა. ყველას გვახსოვს, რა იყო ე.წ. უცხოური ვეტინგი, რომ ჩვენი მოსამართლეები შეემოწმობინა ვიღაც ბულგარელს, ვიღაც ბელგიელს, არავის ვაკნინებ, მაგრამ დამაკნინებელია ის ფაქტი, როდესაც ჩემს სუვერენულ ქვეყანაში პრეტენზია აქვთ, შეგვამოწმონ და გამოძიებები ჩაატარონ. ეს ყოვლად მიუღებელია. საქართველო არ არის პროტექტორატი, საქართველო სუვერენული ქვეყანაა და არ დაუშვებს გარე უხეშ ჩარევას, არ აქვს მნიშვნელობა, ევროკავშირის ელჩი, ან სახელმწიფო დეპარტამენტი რას იტყვის“,** – აცხადებს გია აბაშიძე.

**„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ არც ერთ ქვეყანას ეს არ დაუშვია, რომ მისი არჩევნების რევიზირება მომხდარიყო.

**„კიდევ სამარცხვინოდ რომ ითხოვენ, ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და ჩაატარონ უცხოელებმა, უკაცრავად, მაგრამ უცხოელებს გაეროს ეგიდით ჩატარებული აქვთ არჩევნები მარტო იქ, სადაც იყო სამოქალაქო ომი. ასეთი არჩევნები ჩატარდა ყოფილი იუგოსლავიის ზოგიერთ ქვეყანაში და, ასევე, ასეთი არჩევნები იყო აფრიკაშიც, სადაც სამოქალაქო ომის შედეგად ტერიტორია არ არის საერთოდ. ასეთ ტერიტორიებზე შედიან გაეროს სამშვიდობოები, სიტუაცია მშვიდდება და გენერალური ასამბლეის დადგენილებით, ხმებს აძლევენ სახელმწიფოები, რომ ვუშველოთ ნაომარ სახელმწიფოს და ჩატარდეს არჩევნები. არჩევნების დროს კი სამშვიდოებოები უზრუნველყოფენ წესრიგს და მერე ამ სახელმწიფომ უნდა იცხოვროს თავისივე კანონებით. მართალია, ჩვენს ნაცისტებს უნდათ საქართველოში არეულობის მოწყობა, მაგრამ ვერ მოაწყობენ. მთავარია, ხელისუფლება არ წამოეგოს პროვოკაციას“,** – გვითხრა პეტრე მამრაძემ.

**მანანა ნოზაძე**

---

## კახა კალაძე:
## მისასალმებელია ის შეფასება, რაც ეუთო/ოდირმა დადო



**თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მისასალმებელია ის შეფასება, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია ეუთო/ოდირმა საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით წარმოდგენილ დასკვნაში გააკეთა.**

როგორც კალაძემ ჟურნალისტებს შესაბამისი კითხვის პასუხად განუცხადა, ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას ტერმინები – „სამართლიანი“ და „თავისუფალი“ არც მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებით გამოუყენებია, აიხსნება იმით, რომ ეუთო/ოდირი მსგავს ტერმინებს რახანია, აღარ იყენებს.

**„ამ ტერმინოლოგიას ეუთო/ოდირი უკვე აღარ იყენებს რამდენიმე ათეული წელია. ეს არის რეალობა, ეს არის მოცემულობა. მან ჩვენს არჩევნებზე წარმოადგინა ძალიან კარგი დასკვნა. მართლა გულწრფელად რომ ვთქვათ, 2012 წლიდან მოყოლებული არჩევნებში ვართ და ასეთი მშვიდი საარჩევნო გარემო არ ყოფილა, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას ჰქონდა შესაძლებლობა, ეწარმოებინა თავისი საარჩევნო კამპანია. ეუთო/ოდირის დასკვნაშიც პირდაპირ გაკეთდა შეფასებები, თუ როგორ წარიმართა არჩევნები და ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.**

**არჩევნები იყო მრავალპარტიული, ხალხს ჰქონდა საშუალება, მისულიყო და დაედასტურებინა თავისი მოსაზრება მშვიდ გარემოში. შესაძლოა, იყო ცალკეული შემთხვევები დაპირისპირების, შეხლა-შემოხლის, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში ხდება ასეთი ფაქტები, თუმცა ეს იყო ცალკეული შემთხვევები. საერთო ჯამში, მისასალმებელია ის შეფასება, რაც დადო ეუთო/ოდირმა“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

## დავით ქართველიშვილი:
## მოსამართლე ხუჭუა სანდოა და სხვა არა?!

**„ოპოზიციური სპექტრიდან საარჩევნო უბნებზე კომისიის 25 000 წევრი იყო, მაგრამ მათ მთელი დღის დაკვირვების შემდეგ, მხოლოდ ცხრა შენიშვნა გამოთქვეს. მოვისმინეთ ეუთო/ოდირის დასკვნაც, რომელშიც ფარულობასა თუ ღიაობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოთქმულა“, – ამის შესახებ მედიასთან „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა განაცხადა.**

მისი თქმით, აბსურდზე საუბრობს ოპოზიცია, როცა რაიმე პრეტენზიას გამოთქვამს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ყველა სტანდარტის დაცვით ჩატარდა.



**„არჩევნების ჩატარებამდე, ნიდერლანდების მიერ გამოშვებული ეს ელექტრონული მანქანები, ამერიკულმა ავტორიტეტულმა ტექნიკურმა აუდიტორულმა კომპანიამ შეამოწმა და ყველა ეჭვი გააქარწყლა. ამიტომ, აბსურდზე საუბრობს ოპოზიცია, როცა რაიმე პრეტენზიას გამოთქვამს. მით უმეტეს, რომ თითოეული საარჩევნო უბანი ვიდეოდაკვირვების ქვეშ იყო. პროკურატურამ კი ყველა ტიპის დარღვევასთან დაკავშირებით მომენტალური გადაწყვეტილება მიიღო და სისხლის სამართლის საქმეები აღძრა, თან ყველა მხარეს გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა.**

**სასაცილოა ისიც, რომ, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არ ენდობიან სასამართლო სისტემას, ამ კონკრეტულ მოსამართლე ხუჭუას და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ორი ოლქის შედეგების გაბათილებასთან დაკავშირებით, რატომ ენდობიან? ის აღარ არის ქართული სასამართლო სისტემის მოქმედი წევრი?“** – აღნიშნა დავით ქართველიშვილმა.

საქართველოს რესპუბლიკა



# უკრაინის ომს მსხვერპლად ეწირება ევროპის ინტერესები

**2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დასავლეთის მიერ აღიარების საკითხი კვლავ ჰაერშია, ვინაიდან ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ხსენებული არჩევნების ბედის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. კერძოდ, ევროკავშირი გაცილებით ხისტად აყალიბებს თავის მოთხოვნებსა და შეფასებებს. მაგალითად, ბ-ნი ბორელი ბრძანებს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გაიწვიოს კანონები გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ, რაც მათ (ანუ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს) დაარწმუნებს „ქართული ოცნების“ ევროპული კურსისადმი ერთგულებაში, შესაბამისად, არც არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემა იქნება. მეორე მხრივ, ასეთი მითითება თავისთავად გულისხმობს, რომ, თუ მმართველი პარტია არ გაიწვევს (რაკი ჯერ ისევ მოქმედია) ხსენებულ ორ კანონს, არჩევნების ლეგიტიმაციას დასავლეთის მიერ პრობლემები შეექმნება. რამაზ საყვარელიძესთან ერთად ვიმსჯელებთ დასავლეთის ამ მოთხოვნებზე, მათ მოტივებსა და მოსალოდნელ შედეგებზე.**




***– სწორი ეჭვი მიჩნდება? „ქართული ოცნების“ ლეგიტიმაცია გადის ამ ორი კანონის უკან გაწვევაზე, ეს იქნება დასტური იმისა, რომ ხელისუფლება ურყევად ირჩევს დასავლურ კურსს?***

– ასე გამოდის...

***– არ მინდა პარალელის გავლება, მაგრამ რუსეთი გეუბნება, თუ ნატოში გაწევრიანებას კვლავ დაიჟინებ, მე თავს დაგესხმებიო, თითქოს ჰგავს შანტაჟით ერთმანეთს ეს ორი მიდგომა?***

– თუ ასე დავინახავთ რუსეთის პოზიციას, ის გაცილებით ლოგიკურია, ვიდრე ის, რომ კანონები გაიწვიეთ და არჩევნებს ვაღიარებთ.

***– რატომ წავიდა დასავლეთი ვა-ბანკზე?***

– ის, რომ დასავლეთი ბევრ, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომას უშვებს, არახალია, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ამ კანონების გადახედვის აუცილებლობას იჟინებს მხოლოდ ევროპა და არა – ამერიკის შეერთებული შტატები.

***– ეს ინტერესების განსვლაა თუ უბრალოდ როლების განაწილება?***

– ნეტავ, იმდენი იკითხებოდეს მათ მოქმედებებში, რომ როლებს ინაწილებდნენ ან შეთანხმებულად მოქმედებდნენ. იმაშიც კი ეჭვი მეპარება, არის თუ არა მათი მოტივი სერიოზული. თუკი გავითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ ამერიკაა დაინტერესებული, ჩინეთისგან ევროპისკენ ტვირთის ტრანზიტი რომ არ ამუშავდეს, მაშინ თითქოს ამერიკა უნდა ყვიროდეს უფრო მეტად. ეს ერთადერთი ვერსიაა ასეთი ასიმეტრიის ასახსნელად: ამერიკა ავალებს ევროკავშირს, შენ იყვირეო, რომ თავად მშრალად გამოვიდეს.

***– საბოლოოდ მაინც ჩინეთთან მოუწევს მოლაპარაკება და ურჩევნია, სუფთა პოზიცია ჰქონდეს?***

– და საერთოდ, თუ აღმოჩნდა, რომ ჩინეთისთვის მიუღებელი იქნა ეს პროცესები, რაღა ამერიკა დაუპირისპირდეს ჩინეთს?! დაუპირისპირდეს ევროპა. აქვს ამერიკას ლოგიკა, მოდი, ევროპის ინტერესებს შევწირავ და არა საკუთარს, უბრალოდ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მონოლითურია დასავლეთი და ეს ვერსია მოდის იქიდან, რომ ასეთი მონოლითური იყო დასავლეთი საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ ხომ საბჭოთა გამოცდილების ხალხი ვართ?! დღეს კი უკვე გავახილეთ თვალი საიმისოდ, რომ მარტო საბჭოთა გამოცდილებით აღარ ვხელმძღვანელობთ და ვხედავთ, რომ ამ ქვეყნებს აქვთ თავ-თავიანთი ინტერესები, პოლიტიკური მანევრები და მეთოდები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამერიკა უფრო დაუნდობლად ექცევა ევროპას და ევროპა უფრო მეტ ანგარიშს უწევს ამერიკას. მაინც უფროსი და უმცროსი ძმების მოდელი იკვეთება.

***– ეს მოდელი, მგონი, მაშინ გამოიკვეთა დასავლურ სივრცეში, საბჭოეთი რომ დაიშალა და რფ უმცროსი ძმების გარეშე დარჩა.***

– მიჭირს თქმა, ვინაიდან არ გამოვრიცხავ, რომ ადრეც ხდებოდა ანალოგიური რამ ამერიკასა და ევროპას შორის, უბრალოდ, ჩვენ არ ვიყავით პროცესებში ისე ჩართულები, რომ ეს დაგვენახა და არც პროცესები იყო დღევანდელივით ინტენსიური. ის, რომ ამერიკა დაუნდობელია ევროპისადმი, როდესაც საქმე ეხება მის ინტერესებს, ყველაზე მკაფიოდ დღეს გამოვლინდა უკრაინაში. უკრაინის პრობლემაში წამყვანი, როგორც ამბობენ ხოლმე, დირიჟორის ფუნქცია აიღო ამერიკამ, მაგრამ ძალიან ხშირად სწორედ ის აიძულებს ევროპას, რომ ჩართული იყოს პროცესში: გადასცეს შეიარაღება, მისცეს ფული, რაც ევროპისთვის უკვე კრიტიკული ზღვარია და ჩვენ ვიცით, რომ ევროპული ქვეყნები ჩივიან, რომ დახმარების გაწევა უჭირთ. ანუ უკრაინის ომი ნაწილობრივ უკვე ხდება ისეთი პროცესი, რასაც მსხვერპლად შეიძლება, შეეწიროს ევროპის ინტერესები.

***– ამ ფონზე, ჩვენ რატომ წამოგვიყენეს ულტიმატუმები, რა დააკლდება ევროპას დაფინანსების გამჭვირვალებით ან ოჯახური ღირებულებების დაცვით?***

– თუ ვიხელმძღვანელებთ პრინციპით, რომ ქვეყნები უპირველესად თავიანთი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, ამერიკის ინტერესია, რომ ჩაიხერგოს ჩვენზე გამავალი სატრანზიტო გზა.

***– ანუ ამას ჰქვია კანონების უკან გაწვევა, მაგრამ იგულისხმება ჩინეთის პროექტის: ერთი გზა – ერთი სარტყლის ჩაშლა?***

– კანონის უკან გაწვევაში, მგონი, სხვა რამ იგულისხმება, თუმცა მართალი ხართ, იმიტომ რომ მე წინა პასუხი გავაფართოვე. კანონების უკან გაწვევაში, ვფიქრობ, იგულისხმება ის, რომ ეს სირთულეებს შეუქმნის „ქართულ ოცნებას“ საკუთარ ელექტორატთან ურთიერთობაში. მე მგონი, ესაა მიზანი: ხელისუფლების შეცვლისკენ ნაბიჯების გადადგმა. თორემ, კანონი მექნება თუ არა, უფრო საბაბია დაძაბულობის შემოტანისთვის, ვიდრე მიზეზი.

***– გავიგებდი, რომ წამოეყენებინათ ულტიმატუმი: ვერასდროს გახდებით ევროკავშირის წევრი, თუ არ გექნებათ თავისუფალი სასამართლო. დასავლური ცივილიზაციის აქცენტები რატომ შეიცვალა?***

– ეს იქნებოდა ლოგიკური, მაგრამ ადვილი არ არის სასამართლოსთვის შარის მოდება. მართალია, ჩვენი „ენჯეოები“ ლაპარაკობენ სასამართლოს მაფიაზე, მაგრამ ამის დამტკიცება არ არის იოლი, იმიტომ რომ ანალოგიური შიდა ჯგუფები, ალბათ, თითქმის ყველა ქვეყანაშია და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ყველგან იდეალური სასამართლოა, საქართველოს გარდა, ცოტა ღიმილისმომგვრელი იქნებოდა და, ამდენად შეიძლება, გაუჭირდეთ არგუმენტირებული კამათი.

ამერიკამ სანქციები დაადო მოსამართლეებს, მაგრამ, როდესაც ჩვენთვის საყვედურების გამოთქმის ხასიათზე დგება, გვსაყვედურობს ისევ იმ ორ კანონს. სანქციები იმის არგუმენტია, რომ ამერიკას ჰქონდა პრეტენზიები მოსამართლეებთან და იყო მოლოდინი, რომ ამას ამერიკა დაპირისპირებაშიც გამოიყენებდა, მაგრამ არ იყენებს. რატომ არ იყენებს?! იმიტომ რომ ტრენდული არ არის, ის კი ტრენდს უნდა აჰყვეს. რაკი რეალური არგუმენტები არ აქვთ, მიჰყვებიან პოლიტიკურ ტრენდებს და არც ესაა სიახლე პოლიტიკისთვის. როგორც ადამიანებზე მოქმედებს ბრბოს ეფექტი, ერთი დაიყვირებს და მას მიჰყვებიან სხვებიც, ალბათ, ასეთივე ბრბოს ეფექტი პოლიტიკაშიც მოქმედებს ხოლმე. ამიტომაც შეიქმნა პირველ მსოფლიო ომამდე მოდა, რომ გადასარევი რამაა ომი, ზარ-ზეიმით უშვებდნენ ახალგაზრდებს სასაკლაოზე და მიაჩნდათ, რომ უნდა უხაროდეთ, რაკი ახალგაზრდები ომში მიდიან და ეს მხოლოდ და მხოლოდ ტრენდით იყო განპირობებული. დღესაც იგივე ხდება.

***– ისევე, როგორც დასავლეთის საზოგადოებებს შეუქმნეს აზრი, რომ სადამ ჰუსეინი იყო კაციჭამია, მანამდე იგივე განწყობა შეიქმნა მილოშევიჩის მიმართ. ყველა ბრალდება, მათი სიკვდილით დასჯის შემდეგ არ დადასტურდა, მაგრამ ისინი სიკვდილით დასაჯეს.***

– დიახ, თან, სასწრაფოდ, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯისადმი დასავლური პოზიციაა, ნუ ვიჩქარებთ, ვინაიდან შეიძლება, არ დადასტურდეს განაჩენი.

***– საზოგადოებრივი აზრი შეიძლება, მზადდებოდეს, იმიტომ რომ სადამსჯელო ღონისძიების გატარებას აპირებენ საქართველოსადმი, თუ იმიტომ, რომ შემდეგ ითქვას, ჩვენ კი გვინდოდა მათი მიღება, მაგრამ გვიგანეს, რუსეთისკენ წავიდნენო, თუ მესამე ვერსიაცაა?***

– გვიგანეზე მახსენდება მაკრონის გამონათქვამი, რომელიც ყველას გვახსოვს, როდესაც მან აღნიშნა, რომ საქართველო შორსაა და სხვა გეოგრაფიააო.

***– თუმცა შემდეგ სომხეთი ისევ ახლო გეოგრაფია აღმოჩნდა.***

– დიახ, ცოტა ხანში. ასეთია მათ მიერ აგებული პოლიტიკა. ცუდ დღეში არიან, იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, უნდათ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ იბრძვიან იმ ღირებულებებისთვის, რასაც ევროპული დემოკრატია ეყრდნობა; მეორე მხრივ კი, აქვთ თავიანთი ინტერესებიც. ეს ორი კი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს...

***– 1991 წელს საზოგადოებრივი აზრის მომწიფების გამო, რომ გამსახურდია მიცურავდა დინების საწინააღმდეგოდ, სამოქალაქო ომი დაიწყო, შეიძლება, ეს განმეორდეს?***

– არ გამოვრიცხავ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მგონი, გამსახურდიას თემაში რუსეთის პოზიცია იყო გადამწყვეტი, იმიტომ რომ გამსახურდიასა და დუდაევის პოზიციები ძალიან მჭიდროდ დაუახლოვდა და არა, როგორც რიგითი ადამიანების, არამედ, როგორც ლიდერების. შესაბამისად, მათი პოზიცია, რომ კავკასია უნდა გამთლიანდეს, რუსეთს უნდა მოსწყდეს ჩრდილო კავკასია და შეუერთდეს სამხრეთ კავკასიას, ძლიერდებოდა. იტრიალა ამ პოზიციამ კარგა ხანს და ერთი თვის ინტერვალით, რაკეტით მოკლეს დუდაევი, ხოლო გამსახურდია ტყეში, გაუგებარ ვითარებაში, დაიღუპა. რუსეთი ნებისმიერი საშუალებით დაუპირისპირდებოდა და დაუპირისპირდება მოვლენას, რაც გულისხმობს რუსეთისთვის ჩრდილო კავკასიის გამოგლეჯას.

***– აქ სწორედაც რომ ემთხვეოდა რუსეთისა და ამერიკის ინტერესი, იმიტომ რომ რუსეთის დაშლა არც ამერიკას უნდოდა მაშინ.***

– რა თქმა უნდა.

***– ახლაც ხომ არ იკვეთება მათი ინტერესების თანხვედრა სამხრეთ კავკასიაში, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში ერთმანეთს უპირისპირდებიან?***

– გავიხსენებ, როგორ დაემთხვა მათი ინტერესები 2003 წელს ვარდების რევოლუციის დროს და ახლაც ნამდვილად იკვეთება ინტერესების დამთხვევა, იმავე სატრანზიტო გზის საკითხში. ჩინური ტვირთის აქ გავლა არ არის ხელსაყრელი არც რუსეთისთვის და არც ამერიკისთვის, მაგრამ ევროპისთვისაა ხელსაყრელი. უბრალოდ, ევროპას არ შეუძლია იმაზე ლაპარაკი და იმ პოზიციის დაცვა, რაც მისთვის ხელსაყრელია.

ესაუბრა

**ნინო ხაჩიძე**

## პოლონეთის ვიცე-პრემიერი: ზელენსკის უკრაინის ომში პოლონეთის ჩართვა სურს!

**პოლონეთის ვიცე-პრემიერი კშიშტოფ გავკოვსკი აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის უკრაინის ომში პოლონეთის ჩათრევა სურს.**

უკრაინის პრეზიდენტმა ვარშავას მოუწოდა, პოლონეთის საზღვრის სიახლოვეს რუსული რაკეტებისა და დრონების განადგურებაში კიევს დაეხმაროს.



ამ მოთხოვნის გამო, პოლონეთის ვიცე-პრემიერმა ზელენსკი გააკრიტიკა და თქვა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა მეტად ღირსეული განცხადებები უნდა გააკეთოს იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ომის დაწყების პირველივე დღიდან ეხმარება.

# ჭიათურაში — მაღაროები, ზესტაფონში კი ფერო გაჩერდა!!!



სოფელ შუქრუთის მოსახლეობის რადიკალური პროტესტის შედეგად წარმოშობილი ფინანსური კრიზისის გამო, ჭიათურაში საწარმოო პროცესი სრულად გაჩერდა.

## უკრაინის ომი ჩვენს მთავარ საექსპორტო ბიზნესსაც გადმოსწვდა!

**ჭიათურაში მადნის მოპოვების პროცესი თითქმის სრულად შეწყდა, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობმა ქარხანამ მუშაობა მინიმუმ გაზაფხულამდე შეაჩერა. კომპანია კრიზისს ებრძვის, პრობლემებია როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე საგარეო გასაღების ბაზრებზე.**

პირველი ვინც განცხადება გაავრცელა „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანი“ იყო. საწარმოო პროცესის გაჩერების მიზეზად კომპანიამ სოფელ შუქრუთის მოსახლეობის რადიკალური პროტესტი დაასახელა.

**„სოფელ შუქრუთის მოსახლეობის რადიკალური პროტესტის შედეგად წარმოშობილი ფინანსური კრიზისის გამო, ჭიათურაში საწარმოო პროცესი სრულად გაჩერდა. აღნიშნულ პირობებში, თანამშრომლებს ხელფასის 60%-ის ანაზღაურებასა და მოქმედი სადაზღვევო საოჯახო პაკეტის შენარჩუნებას ვთავაზობთ. ჩვენმა მენეჯმენტმა, საწარმოების ხელმძღვანელებთან ერთად, რვათვიანი კრიზისის შედეგები შეაფასა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის მარტის თვიდან კომპანიას შუქრუთის მოსახლეობის პროტეტის გამო იძულებით მოუწია წარმოების 70%-ის შეჩერება, რასაც დაემატა მსოფლიო ბაზარზე ფასის კლების ტენდენცია და ამასთან დამატებით მოძიებული დაფინანსების საშუალებების ამოწურვა.**

**აღსანიშნავია, რომ ამ მძიმე პირობებში, როდესაც საწარმოების დიდი ნაწილი გაჩერებული იყო, კომპანია თანამშრომლებს სრულად უხდიდა ხელფასის 100%-ს. შიდა და გარე ფაქტორებმა, ჭიათურის საწარმოებში მძიმე ფინანსური კრიზისი შექმნა, რის გამოც კომპანიას იძულებით მოუწია სპეციალური რეჟიმის ამოქმედება.**

**მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში, კომპანია ეცდება, შეიმუშაოს და კანონით გათვალისწინებულ ყველა მხარესთან შეათანხმოს კრიზისის დაძლევის გეგმა. გეგმის შემუშავება და შემდეგ მისი აღსრულება საჭიროა იმისათვის, რომ საწარმოების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მადნის მოპოვება რენტაბელური გახდეს და ადგილი აღარ ჰქონდეს სამუშაო პროცესის პერმანენტულ, უკანონო შეჩერებებს“,** — აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ მძიმე ფინანსური კრიზისის გამო მიიღეს ასეთი მკვეთრი გადაწყვეტილება. „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანის“ დირექტორის მაქსიმ მაზურენკოს თქმით, მოსახლეობის პროტესტის გამო მაღაროების 70% გაჩერებული იყო.

**„არ გვეძლეოდა მოპოვების შესაძლებლობა. თუ, მაგალითად, ადრე თვეში 90-იდან 100 ათას ტონამდე პროდუქციას ვაწარმოებდით, ამ პირობებში 30-35 ათს ტონამდე ჩამოვედით.**

**სწორედ ამან მიგვიყვანა მთავარ პრობლემამდე. მაღაროელებს რომლებიც შუქრუთის მოსახლეობის პროტესტის გამო ვერ მუშაობდნენ, ხელფასის 100%-ს ვუხდიდით. პარალელურად, მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით მოსახლეობასთან, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ფასის კლების ტენდენციაა, თუ მაგალითად ივლისში 1 ტონა ნედლეულის ღირებულება 5,5 დოლარი იყო, ამ დროისთვის ის 3,5 დოლარზე ჩამოვიდა. მოთხოვნა შემცირებულია როგორც მანგანუმზე, ასევე ფეროშენადნობებზე. შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის გამო მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კომპანიაში საწარმოო პროცესი სრულად შეგვეჩერებინა და თანამშრომლები გადაგვეყვანა 60%-იან ანაზღაურებაზე“,** — განაცხადა **მაქსიმ მაზურენკომ.**

✦ ✦ ✦

**პარალელურ** მუშაობას აჩერებს ზესტაფონის ფეროც. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ განცხადებით, 2025 წლის პირველ მარტამდე ფეროშენადნობთა ქარხანაში სრულად ჩერდება წარმოების პროცესი და ქარხანაში დროებითი მართვის რეჟიმი იმოქმედებს.

**„ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან 2025 წლის პირველ მარტამდე დროებითი მართვის რეჟიმი იმოქმედებს — სრულად გაითიშება საწარმოო სიმძლავრეები და შეჩერდება ფეროშენადნობების წარმოების პროცესი.**

**ამ პირობებში, ჩვენს თანამშრომლებს ხელფასის 60%-ს გადავუხდით და სრულად შევუნარჩუნებთ საოჯახო სადაზღვევო პაკეტს. თანამშრომლების იმ ნაწილს კი, რომლებიც მიმდინარე და დაგეგმილ კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებში ჩაერთვებიან, ხელფასის 100%-ს ავუნაზღაურებთ.**

**ჩვენმა კონტრაქტორმა „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, 8 თვის განმავლობაში, მაღაროების პიკეტირების გამო, ვერ უზრუნველყო ქარხნის მადნით მომარაგება. 12-დან 7 მაღაროს პარალიზებით ჭიათურაში მადნის მოპოვება 70%-ით შემცირდა.**

**ფეროშენადნობების მსოფლიო ბაზარზე შექმნილი კრიზისის გამო, სილიკომანგანუმის წარმოება ჯერ კიდევ 2 ოქტომბრიდან შევამცირეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ჩვენს მთავარ საექსპორტო ბაზარზე აშშ-ში აღარ მომხდარა ფეროშენადნობების რეალიზაცია.**

**მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ვიმედოვნებთ, რომ გლობალურ ბაზრებზე მდგომარეობა მალე გამოსწორდება და შევძლებთ სამუშაო პროცესის დათქმულ ვადაზე ადრე აღდგენას“,** — განაცხადეს კომპანიაში.

ვითარების დრამატულობას ადასტურებენ ფეროშენადნობთა ასოციაციაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ნუგზარ კევლიშვილი** ამბობს, რომ დარგში კრიზისი უკრაინის ომის დაწყებასთან ერთად დაიწყო და ზამთრის სეზონის დაწყებასთან ერთად, კრიზისის გამწვავება სრულიად მოსალოდნელი იყო.



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან 2025 წლის პირველ მარტამდე დროებითი მართვის რეჟიმი იმოქმედებს — სრულად გაითიშება საწარმოო სიმძლავრეები და შეჩერდება ფეროშენადნობების წარმოების პროცესი.

**„2.5 წლის წინ, უკრაინის ომის დაწყებასთან ერთად, დაიწყო ღრმა კრიზისი ფეროშენადნობების დარგში და აღარ დამთავრდა. არაერთხელ მითქვამს, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდთან ერთად, ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ამ პერიოდში ქვეყანაში წყალუხვობა არაა, შესაბამისად, ელექტროენერგიის იმპორტი ხდება და ფასი იზრდება. ჩვენს დარგში ელექტროენერგიას თვითღირებულებაში 25-30% უჭირავს. შესაბამისად, წარმოების გაგრძელება არსებული კრიზისის ფონზე რთულია.**

**ცოტა გამოცოცხლება ზაფხულში იყო და ახლა ისევ შემცირდა ფასი. იმის რესურსი, რომ კიდევ ვიღაცამ რამდენიმე თვე და ერთი წელი შეინახოს საწარმო, არ მგონია, ბევრს ჰქონდეს ან საერთოდ ვინმეს ჰქონდეს. ზაფხულში რამდენიმე საწარმომ მუშაობა განაახლა და კიდევ თუ დაიწია ფასმა, რაც, ჩემი აზრით, გარდაუვალია, საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ, ალბათ ისინიც შეაჩერებენ დროებით წარმოებას. „ჯორჯიან მანგანეზს“ აქამდეც კბილებით ეჭირა წარმოება. ყველაზე რთული მათთვის იქნებოდა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი ვერ დაინახეს.**

**ეს კრიზისი, ცხადია, რომ ოდესმე დამთავრდება და მსოფლიო არ გაჩერდება, მაგრამ არ მგონია, რომ 1-2 თვეში, ან ახლო მომავალში მოგვარდეს“,** — განაცხადა კევლიშვილმა.

**ბექა დანელია**

---

# ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ჯილდო მასწავლებლებსაც გაახარებს...

**მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს“ ორგანიზებით ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მასწავლებლის ჯილდო დიასპორული განათლებისთვის დაფუძნდა.**

ჯილდოს დაარსების მიზანია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ პედაგოგთა და მათი ღვაწლის აღიარება, უდიდესი წვლილის წარმოჩენა, რომელიც შეაქვთ ქართული ენის, კულტურისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში.

მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველო“ 2020 წელს დაარსდა და მსოფლიოს 24 ქვეყნის ქართული საკვირაო სკოლებსა და კულტურის




ცენტრებში მოღვაწე მასწავლებელთა გაერთიანებაა.

ჯილდოს დებულების პრეზენტაცია საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში“ გაიმართა. დიასპორის საკვირაო სკოლის მასწავლებლები გაეცნენ პროფესიული სასწავლებლის ლაბორატორიას.

მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს“ პრეზიდენტმა **ირინე ჯგერენაიამ** და კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორმა **მათე ტაკიძემ** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც მიზნად ისახავს დიასპორაში მყოფი ოჯახის წევრების, საქართველოში მცხოვრები ბავშვების ჩართულობას პროფესიის დაუფლებაში.

ასოციაციის ინიციატივით მადლობის დიპლომებით დაჯილდოვდნენ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე მასწავლებლები.

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის დიპლომით დაჯილდოვდა „კოლეჯი სპექტრის“ დირექტორი მათე ტაკიძე. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ფონდმა მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს“ პრეზიდენტი ირინე ჯგერენაია დააჯილდოვა მადლობის დიპლომით.**

# გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი!

## „კულტუროლოგიის საფუძვლების“ არსი და მნიშვნელობა

**ესაა გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი დღევანდელობის მთავარი საჯილდაო ქვა!**

**სოციალური კვლევების გააქტიურება პოსტიმპერიული ეპოქის მთავარი მოთხოვნაა, როცა ანდერგრაუნდი იძენს ოფიციალურ სახეს და მისი მარგინალიზაცია უკვე ცუდ ტონად მიიჩნევა. ამავე ორბიტაში მოიაზრება კულტურისა და ხელოვნების ფილოსოფიასთან და ისტორიასთან ინტეგრირებული კვლევა, რომლის საუკეთესო ნიმუშებში გაერთიანდა ძველი და ახალი რელიგიური მოცემულობები, არქეტიპებისა და სიმბოლოების ანალიზი, ისტორიულ მოვლენათა რაციონალურ-ირაციონალური აღქმა და მისი მეინსტრიმად გადაქცევა.**

კულტუროლოგიური კვლევის საუკეთესო ნიმუშებად ქართულ სინამდვილეში სოსო სიგუას ნაშრომები მიგვაჩნია, რომელიც მის მრავალფეროვან ინტერესთა შორის წამყვანი და უმთავრესი გახდა. დაინტერესებული საზოგადოება ერთგვარად განებივრებულიც კია ზურაბ კიკნაძის, სოსო სიგუას, როსტომ ჩხეიძის, ზაზა შათირიშვილის, დათო ანდრიაძის, გიგი თევზაძის კულტუროლოგიური ხასიათის ნაშრომებით. თითოეული მათგანი ქართული კულტურის არქაული ძირების ხელახალი ინტერპრეტაციით მიდის დასახული მიზნისაკენ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყოველი მათგანის ანალიტიკური დისკურსი, მთავარი აზრობრივი ნაკადის გაშლა და განფენა ინტერდისციპლინარულ კვლევათა ასპექტით.

**სოსო სიგუა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ტექსტების სტრუქტურული მრავალპლანიანობა მათი ესთეტიკური ფენომენის საფუძველთა საფუძველია; ინტუიცია ანგრევს ტრადიციულ ჩარჩოებს და ავტორი მაქსიმალურად უახლოვდება პერსონაჟს, ხოლო მკითხველს შეთვისებულ ჩარჩოთა გადალახვა ავტორთან ერთად მოეთხოვება. ამგვარი უნივერსალურობა ახასიათებს მთელ თანამედროვე აზროვნებას, რასაც კულტუროლოგია ეწოდება.**

**კულტუროლოგია სიმბიოზური დისციპლინაა, რომელიც არსებული მეთოდებით ცდილობს მოიცვას ყველაფერი, რასაც კაცობრიობის მონაპოვარი და სიამაყის საგანი ჰქვია.**

ჩვენ ამ შესავლით იმის თქმა გვინდა, რომ სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის განმსაზღვრელი მოვლენა, რომლის თეორიული და პრაქტიკული მხარე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და შეფასდეს.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ პირველი ტომი „კულტურის გენეზისი“, 2010წ., მეორე ტომი – „კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები“, 2012 წ., მესამე – „კულტურა და გლობალიზაცია“, 2013 წ. გამოქვეყნდა.

სამივე ტომი ერთად გამოიცა ჯერ – 2021, შემდეგ – 2023 წელს.

სოსო სიგუამ მიზნად დაისახა თანამედროვე მეცნიერების სამი მთავარი ბაზისის – ანთროპოლოგიის, კულტურის ისტორიისა და კულტურის თეორიის მეშვეობით წარმოედგინა თანამედროვე სულიერი ცხოვრების ურთულესი პროცესები და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, თუმცა ამით ნამდვილად არ შემოფარგლულა და უხვად მოგვაწოდა ლიტერატურული თუ ისტორიული დისკურსები. ამ სამტომეულით სოსო სიგუამ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების დროსა და სივრცეში გააზრება, ფარული და ხილული ნიუანსების მონიშვნა, სტატიკური და დინამიკური ტენდენციების გამოვლენა – მართლაც ძალიან ძნელი და მიმზიდველი საქმეა.

პირველი წიგნი მთლიანად დაეთმო კულტურის გენეზისის საკითხს, მის ქრონოლოგიურობას და ქაოტურობას, რაციონალურ და ირაციონალურ პლასტებს, ევოლუციურ თუ რევოლუციურ განვითარებას, კულტურის და ძალაუფლების ნების თანაარსებობას, სახელმწიფოს წარმოქმნის უმთავრეს ელემენტებს.

„კულტურის გენეზისზე“ დაკვირვებისას ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გაცილებით ადრეული მონაცემების გახსენება, რადგან სოსო სიგუას ადრინდელი ნაშრომების გაუთვალისწინებლად ვერაფრით შევძლებთ მისი დიდი შრომის სრულყოფილად შეფასებას.

სოსო სიგუამ ქართულ სამეცნიერო სივრცეში მრავალი ორიგინალური და ინოვაციური მიგნებებით დაიმკვიდრა ადგილი. სამაგალითოა მისი გამოკვლევები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. ყველასთვის თვალშისაცემია, რომ მწერლის შემოქმედების კვლევა გასცდა ქართული კულტურის არეალს და მკვლევარმა მთელი ევროპული ცივილიზაციის მიღწევების განვრცობა და გამსახურდიას შემოქმედების ამ არეალში მონიშვნა წარმატებით შეძლო. ამით გახდა პროფესიონალებისათვის მნიშვნელოვანი **„კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, „მარტვილი და ალამდარი“, „დევნილი ტრიუმფატორი“** და სხვა გამოკვლევები.




ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ სოსო სიგუა სანამ „კულტუროლოგიის საფუძვლებს“ შექმნიდა, მანამდეც კულტუროლოგის თვალთახედვით უდგებოდა საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემებს. ეს მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია, რამაც იმთავითვე **წარმატებულ და მისაბაძ მეცნიერად აქცია ჩვენთვის.** თანაც ეს მაშინ ხდებოდა, როცა კულტუროლოგიის ხსენებაც არ იყო.

მოვლენათა გენეზისის კვლევისას სოსო სიგუა წარმატებით მიმართავს კულტურულ-ისტორიულ მეთოდს, სხვადასხვა ეპოქის მონაცემებიდან ამოდის და თანდათანობით წარმოგვიდგენს მთლიან სურათს, ერთიან სისტემას, რაც გაჯერებულია როგორც წინამორბედი მოაზროვნეების დაკვირვებებით, ისე საკუთრივ მისი ორიგინალური მსჯელობებით და დასკვნებით.

სოსო სიგუამ ქართული მასალის უხვად შემოტანით და ჩვენი კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გაანალიზებით დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც შედარებით ახალი საგანია ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.

ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში ტოტემი და ტაბუ გათავისებული და შესწავლილი თემაა, ამ კუთხით მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიისათვის ეს ნაცნობი და ორგანული მოვლენაა. სოსო სიგუას გვერდი არც მაშინ აუვლია ამ თემისთვის, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას პროზას იკვლევდა ან როცა „ქართული მოდერნიზმის“ ესთეტიკას გვამცნობდა.

ტოტემისა და საერთოდ ცხოველთა სამყაროს კულტუროლოგიურ ასპექტში აღქმა და სამეცნიერო ანალიტიკაში მოქცევა ძალიან პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში. ყოველმხრივ არის შესწავლილი ცხოველთა და ფრინველთა მითოპოეტიკა – ისინი ოჯახის მფარველებად, ადამიანთა დამხმარე ძალებად, ხელოსნობის დამცველ სულებად გვევლინებიან. ადრე ამას ფოლკლორისტიკა, მითოლოგია, ეთნოლოგია ან არქეოლოგია შეისწავლიდა, მაგრამ დღეს ამას კულტუროლოგია აკეთებს. სწორედ კულტუროლოგიას აქვს პრეტენზია, რომ შეუძლია მეთოდოლოგიურად ამოწუროს ყველაფერი – ძველი სახელმწიფოებრივი რეგალიებიდან დაწყებული, ქალთა თავსაბურავებითა თუ კულინარიით დამთავრებული.

„კულტუროლოგიურ საფუძვლებში“ ქრონოლოგიასთან მიმართებით მთელი რიგი საკითხებია წარმოდგენილი, ერთ ფსიქოტიპურ მთლიანობად არის მოცემული ისეთი ირაციონალური მოვლენები, როგორიცაა – **ტოტემი და ტაბუ, ფეტიში და ქარიზმა.** თითოეული მათგანი წარმოდგენილია იმგვარად, რომ ცხადი ხდება ავტორის სწრაფვა მკაცრი სისტემიზაციისაკენ, ყველაფერი დალაგებულია მკაფიოდ მონიშნულ ჩარჩოში.

სოსო სიგუა ძალაუფლების ნებას გამორჩეულად აკვირდება და აანალიზებს, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ საკითხის შესწავლით იწყება ისტორიზმის გამოვლენა ლიტერატურულ ტექსტებსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებში, მაგრამ მას უფრო პრაგმატული მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი, რაც ყოველგვარ ყალბ ინსინუაციებს გამორიცხავს და მოცემულობას წმინდა აზრობრივ ჩარჩოში აქცევს. სოსო სიგუა წერს: **„კულტურშემოქმედთა უმრავლესი ნაწილი დამარცხებული ან არშემდგარი ლიდერია. ამიტომ იყო კულტურის წიაღი ქურუმების წრე, რომელიც აყალიბებდა შიშიდან, განცვიფრებიდან, ტოტემური და აკრძალვათა სისტემიდან გამომდინარე ღმერთების პანთეონს, ღმერთების სახელით კი – ხელოვნებასა და მეცნიერებას, ცხოვრების წესს, მორალსა და ზნეობას, სქესთა კავშირს, ენას.“**

როგორც აღიარებულია, ძალაუფლების ნებას ორი ფაქტორი ქმნიდა – შიში და აღზრდა. სოსო სიგუა ამ ორ კომპონენტს ათავსებს ისტორიის კონტექსტში და მის არეალში მოიაზრებს სახელმწიფოს, როგორც ერთსა და სიმრავლეს. მისი ინტერპრეტაციით, ცოდნა და წვრთნა უწყვეტი უნდა იყოს, საწინააღმდეგო შემთხვევაში კაცობრიობა წარმოუდგენელი სისწრაფით დაუბრუნდება „წინაპართა მღვიმეს“.



მკვლევრის აზრით, ყველა ეპოქაში წამყვანი იყო ძალისა და ინტელექტის ბალანსირება, რაც არქეტიპების ფორმების საფუძვლებს წარმოადგენდა. მთელი ეს კანონზომიერება კაცობრიობის ისტორიულ წარსულზე, სოციუმსა და ხელოვნების ქმნილებებზე დაკვირვების შედეგია.

„კულტურის ტიპოლოგიასა და უნივერსალიებში“ ერთ-ერთი მთავარი თემა კულტურის და ცივილიზაციის გამიჯვნაა, რაც ოსვალდ შპენგლერის წარმატების განმსაზღვრელი გახდა გასული საუკუნის დასაწყისში და რომელიც კარდინალურ საკითხად რჩება კულტურის ფილოსოფიაში. ასევე შესანიშნავად არის დიფერენცირებული ხელოვნების ტიპები, კულტურის რელიგიური კუთვნილება, სახელმწიფო და კულტურა, მასობრივი და ელიტარული კულტურები,ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ მეორე ტომში განხილულია კულტურის იერარქია და კულტურის ცენტრები, რაც დღევანდელი საზოგადოებისათვის უმთავრესი პრობლემაა. ჩვენი თანამედროვე მსოფლიოსათვის განსჯისა და ფიქრის საგანია ის დეჰუმანიზაციის და დეკულტურიზაციის პროცესები, რომელიც ღიად და გახსნილად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ელიტურობა, მხატვრული ტექსტის ირაციონალურობა და რელიგიურობა სოსო სიგუას ადრეულ გამოკვლევებშიც გამორჩეულ ადგილს იკავებდა.

**ისტორიული ფაქტების სიმრავლე, დიდი ცოდნა და ამ ცოდნის სათანადოდ კლასიფიცირება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის სოსო სიგუას ნაშრომს, მასში წამოჭრილ პრობლემებს, გამოთქმულ აზრებს და მოყვანილ არგუმენტებს.**

**მასობრივი და ელიტური კულტურების დეფინიციისას არაერთი მაგალითია მოხმობილი ანტიკური ხანიდან, რენესანსის ეპოქიდან და უფრო ახლო წარსულიდან.**

სოსო სიგუა აღნიშნავს: „როცა მასობრივი ერწყმის ელიტარულს, მაშინ იგი იხვეჭს ყველა თაობის, ყველა ფენის სიყვარულს. მაგ., ბიბლია, ყურანი, ჰომეროსის პოემები, შექსპირის ტრაგედიები, დოსტოევსკის, ბალზაკის, სერვანტესის, ლ. ტოლსტოის რომანები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

მართლაც საინტერესოა, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საყოველთაოდ მოსაწონი და მისაღები მხატვრული მოვლენები მაღალ მატერიებს და სულიერ პოსტულატებს;ანუ ელიტურ-გენიალური ქმნილებები მასობრივიც არიან და პროფესიულ წრეებშიც საყოველთაო აღიარებას პოვებენ.

ყველა დონის დაინტერესებული მკითხველისათვის მისაღები და მნიშვნელოვანია ქვეთავი „სოციალურ-პოლიტიკური ძვრები და კულტურული მოძრაობა“, სადაც ადამიანების ქცევები, ომები და რევოლუციები, ტექნიკური პროგრესი და გემოვნების ტრანსფორმაციებია გაშუქებული. სოსო სიგუა ეხება ერესსა და სკეპტიციზმს, ჯვაროსნულ ომებს, კურტუაზულ იდეალებს, კრიზისებს და მათ როლს კულტურის განვითარებაში.

სოსო სიგუა წერს: „ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა წვდომა, ღმერთს ვერ შეხედავს, მის ბუნებას ვერ განსაზღვრავს.

საჭიროა შუამავალი, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს.

უხეში შედარება რომ მოვიხმოთ, ელექტროენერგია ძალაა, მაგრამ სინათლედ რომ იქცეს, საჭიროა ნათურა. იგი გარდაქმნის ძალას სინათლედ, რომელიც ბნელს გაფანტავს. ასეთი სინათლეა ქრისტე – ლოგოსი, რომელიც თავისთავში აერთებს ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, ძალასა და სიკეთეს.“

იესოს, როგორც ძეს ღვთისას და როგორც ახალი წეს-ჩვეულებების, ახალი აზროვნების და კულტურის სიმბოლოს, თავისი ნიშნები აქვს: თევზი, ჯვარი, ღუზა, კრავი, მტრედი და მრავალი სხვა; ამავე დროს ანტიქრისტიანული სიმბოლოების სიმრავლეც მოგვეპოვება: სკარაბეუსი, სვასტიკა, ყოვლისმხილველი თვალი, მხეცის ნიშანი და ა.შ. ყოველივე ეს არის ყოველდღიური ქცევების, ურთიერთობების განმსაზღვრელი საგნები, ჩვენი კულტურის ნაწილი. ამ წინააღმდეგობრივი და ოპოზიციური ნიშნების სტრუქტურიზება, სისტემაში მოქცევა, ფუნქციების და როლის განსაზღვრა რელიგიათმცოდნეობასთან, ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან და სხვა დარგებთან ერთად ყველაზე უნივერსალური მეცნიერების, კულტუროლოგიის საგანია. სწორედ კულტუროლოგიას ხელეწიფება მთელი ამ მონაცემების რანგირება, სტრუქტურირება და ზოგადი ნიშნების სისტემაში მოაზრება. დასავლეთში კულტუროლოგია და ანთროპოლოგია სინონიმები არიან და რაც ადამიანს ეხება, ყველაფერი კულტუროლოგიის არეალში ექცევა.

კულტუროლოგთა ახალი თაობის აღზრდას სოსო სიგუა გლობალიზაციის მოდელების წარმოდგენით იწყებს, მისი **„კულტურა და გლობალიზაცია“** იძლევა ერთიან მსოფლიო მოდელს, სადაც მოიაზრება რელიგიური, იმპერიული, სემიოტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სახესხვაობანი. ადამიანთა უფლებები და „ახალი მენტალიტეტი“ უსისხლო რევოლუციის ნაწილია თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ნაციონალიზმი პროგრესის მტრად არის მიჩნეული და შესაბამისად გლობალიზაციას აფერხებს. ახლა, როცა ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება განათლების სისტემის უნიფიცირების პირმშოა და ურბანიზმი ცხოვრების წესად იქცევა, კულტურათა თანაარსებობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

გაგრძელება მე-9 გვ.

# ვერაგი ოპოზიცია და დასავლეთი არჩევნებში სამართლიანად მოპოვებული გამარჯვების უტიფრად წართმევას ცდილობენ




**სამწუხაროდ, რაც ხდება დღეს საქართველოში, ჩვენ ამას კარგა ხანია, შევეჩვიეთ – სადღეღამისო მიტინგებს, გაუთავებელ ღრიანცელს, სრულიად უცნობი, არაფრით გამორჩეული, ძირითადად, ახალგაზრდობის უხამს, უტაქტო, უპასუხისმგებლო, გაბოროტებულ ყვირილს, რასაც მიტინგზე გამოსვლებს ვერ უწოდებ, უცენზურო გამოთქმებს ხელისუფლების მიმართ, რელიგიის, უწმინდესისა და უნეტარესის შეურაცხყოფას.**

ეს არ არის დღევანდელი საზოგადოების ნორმალური საქციელი, ეს ბოროტი ხულიგნობაა – ჩვენი წესრიგის დამცველი პოლიციელების დამცირება, მათ მიმართ საღებავების, ქვებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა, სხვადასხვა საგნის გამოყენებით აღვირახსნილი და დაუნდობელი ბრძოლა ჩვენი კეთილგონიერი პოლიციის წინააღმდეგ.

მომიტინგეთა უმრავლესობა უწიგნური, გაუნათლებელი ბრბოა. ისინი ოჯახში არ არიან აღზრდილები. ამ ბაკქანალიაში მშობლებისა და ოჯახის პასუხისმგებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამ თავგზააბნეული, უმწიფარი თინეიჯერების და ახალგაზრდების... მათ არც კი აქვთ წაკითხული კანონი. უარგუმენტო ყვირილითა და ბღავილით – „არა რუსულ კანონს“, დროშებისა და უგუნური პლაკატების ფრიალითა და თავიანთი უსაქციელობით გამოხატავენ პროტესტს.

**მათ უკან დგანან ისინი, ვისაც დიდი, ფარული შემოსავლები აქვთ – საქართველოს მძარცველი კეზერაშვილი, გვარამია, გიგაური, ხოშტარია, ხაზეიშვილი, ლომჯარია, ზარამიძე, ვაშაძე, ჯაფარიძე, მელია, უგულავა, ბოკერია, გახარია, ზუაძე და სხვები.**

მათ არანაირად არ აძლევთ ხელს კანონი, რომელიც აწესრიგებს აღურიცხავი დიდი ოდენობის შავი ფულის შემოდინებას უცხოეთიდან საქართველოში. რა არის მიუღებელი ამ კანონში, რომელიც უკვე მიიღო პარლამენტმა?

ამდენი ხმაურის, მუშტი-კრივის, ლანძღვაგინების შემდეგ ვერც ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა და ვერც საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა – არასამთავროებოებმა ვერ მოიყვანეს თუნდაც ერთი არგუმენტი, რატომ არის ეს კანონი რუსული და მიუღებელი.

**უნდა ვიცოდეთ, საიდან, ვისთან, რა ოდენობის ფინანსური რესურსები შემოდის და რაში იხარჯება ეს აღურიცხავი კოლოსალური თანხები. ანალოგიური კანონი ბევრ ქვეყანაში მიღებულია და წარმატებითაც იყენებენ.**

რადიკალური ოპოზიციონერი პარლამენტარები კი სრულიად დაუფიქრებლად და უარგუმენტოდ, სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ კანონის მიღებას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ, წიოდნენ და კიოდნენ უზრდელობითა და უხამსობით გამორჩეული ოპოზიციონერი ქალები – ბოკუჩავა, წითლიძე, სამადაშვილი, დეკანოიძე, ნაცვლიშვილი, ჩარკვიანი, სამნიძე, აქუბარდია, კორძახია და სხვები. მათ უნდათ, ქვეყანა არიონ. რას ჰგავდა ელისაშვილის არაკაცური, ბოროტი ხულიგნობა, ტურასავით რომ მიეპარა და თავს დაესხა ტრიბუნაზე მდგომ მამუკა მდინარაძეს?

ჩვენი ოპოზიცია პოლიტიკური კულტურისგან ძალიან შორს დგას. ოპოზიციონერები სისტემატურად არ მუშაობენ ჩვენს ხალხთან, რომელიც მათი ამომრჩეველი გახდება – ისინი მხოლოდ არჩევნების მოახლოებისას გააქტიურდებიან ხოლმე.

**ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობა სასტიკი, არაადამიანური ფორმებით ებრძვის მმართველ გუნდსა და ხელისუფლებას. ებრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი ხერხით ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში, ქვეყნის ხელმძღვანელთა სავარძლებში ჩაესვენონ და ნაცადი ბინძური მეთოდებით მართონ ქვეყანა. უფრო მეტიც, ხალხის გონებითა და დაუღალავი შრომით შექმნილ ბიზნესსა და დოვლათს ყაჩაღურად დაეპატრონონ. არადა, თავიანთი მმართველობის დროს ციხეები გადაავსეს, აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს სრულიად უდანაშაულო, ღირსეული ადამიანები; ცემისგან დაააავადეს და სიკვდილამდე მიიყვანეს „ხალხის პარტიის“ ლიდერი, უპატიოსნესი პიროვნება, ხუთი მცირეწლოვანი შვილის მამა კობა დავითაშვილი, დღისით-მზისით მოკლეს ცნობილი ფილოლოგი, აკადემიკოსი და პოლიტიკოსი გურამ შარაძე; დააკავეს და მერე ციხეში დაუნდობლად და სასტიკად აწამეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელიც 4-წლიანი პატიმრობის შემდეგ, სრულიად დაავადებული ვითომ გაანთავისუფლეს და მალევე გარდაიცვალა... – ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია სისხლიანი რეჟიმის ჩადენილი ურიცხვი დანაშაულისა....**

სააკაშვილისა და მისი მომხრეების უტიფარი ქმედებით ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. უგუნურმა ოპოზიციამ ბრძოლის გზად აირჩია ქვეყნის განვითარებისთვის ხელის შეშლა, საბოტაჟი, წარმოება-დაწესებულებათა პარალიზება. მიშას საკანში – ოროთახიან კომფორტულ პალატაში გარეწრები დათარეშობენ. სააკაშვილის პალატაში შესული „პუტანკები“ იქიდან დაფეხმძიმებულები გამოდიოდნენ. ზოგს ამ ვიზიტის შემდეგ ბავშვიც კი ეყოლა.

საქართველოში შიდაპოლიტიკური მოვლენების ისეთი დომხალია, რომ ძალაუფლების სათავეში მოსაბრუნებლად ოპოზიციური სპექტრის „დამრტყმელი” ძალის, ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა თითქმის ყოველი აქცია „აბსურდის თეატრს” უფრო წააგავს, ვიდრე ქვეყნის მომავლის სასიკეთოდ გადადგმულ თუნდაც მცირე ნაბიჯს. ასეთი უთავბოლო ფაფხურის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ნაცების ვაიპოლიტიკოსების ერთ უსაქციელობაზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო, რომელსაც ამ პოლიტიკური ძალის საქართველოს პარლამენტში არჩეულ დეპუტატთა საკანონმდებლო ორგანოში გაუთავებელი „შესვლა-გამოსვლა“ ჰქვია და მინდა მათ მივმართო:

ქალბატონო და ბატონო ნაციონალებო, თქვენ საქართველოს პარლამენტი რუსული „პრახადნოი დვორი” ნუ გგონიათ, რომელსაც, როცა მოგესურვებათ, დემონსტრაციულად დატოვებთ, მერე, როცა წყენა გადაგივლით – ისევ მიბრუნდებით და კვლავ წამოსკუპდებით სავარძლებში, თუმცა აგრესიულ და მახინჯურ აქციებს მაინც ვერ ელევით.

**ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – პარლამენტის თავხედურად, დემონსტრაციულად და სისტემატურად დატოვების შემთხვევაში, დეპუტატს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება, იმუნიტეტი, ხელფასი და ყველა სხვა პრივილეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უმსგავსობა გაუთავებლად გაგრძელდება.**

მცირე ჯგუფის კერძო ინტერესებს არ უნდა შეეწიროს სახელმწიფო ინტერესები. ეს არის ოპოზიციის ბრძოლა ძალაუფლებისთვის და პარლამენტის სავარძლებისათვის.

ოპოზიციის უპირველესი მიზანია, გაათავისუფლოს ურიცხვი ბოროტების ჩამდენი პრეზიდენტყოფილი, დააკანონოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ლგბტ-ს პროპაგანდა, ჩვენი სულიერების, კულტურის, იდენტობის, განათლებისა და ტრადიციების უგულებელყოფა, მართლმადიდებლობის დაკნინება.

გასაკვირია ზნედაცემული ოპოზიციის საქციელი. ტელევიზიის თითქმის ყველა არხი მისმა მხარდამჭერებმა დაიპყრეს, თითქმის ყველა ჟურნალისტი მას ექომაგება; აიკლეს მთელი ქვეყანა, მოაბეზრეს ხალხს თავი გაუთავებელი ჩხუბით, ყაყანით, თავხედობით, უზრდელობით, ღრიანცელით.

**რუსეთი, რა თქმა უნდა, დამპყრობელი და აგრესორია, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენ შევიჭერით და დავუშინეთ გრადები ცხინვალის მძინარე მოსახლეობას. ომი უბოროტესმა სააკაშვილმა დაიწყო (საკმარისია, გავიხსენოთ ჰაიდი ტალიავინის დასკვნა და გარეწარი სააკაშვილის აღიარება). სამწუხაროდ, რუსეთს არც მომიტინგეები და არც ოპოზიციონერები არ იცნობენ, მხოლოდ ისტორიის ცალკეული დამახინჯებული ფრაგმენტები იციან ზოგიერთი უბადრუკი ისტორიკოსისგან.**

ჭეშმარიტმა ისტორიამ იცის საქართველოს წინაშე რუსეთის დამსახურების შესახებ. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ილიას, აკაკის, ვაჟას, ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა ობიექტური შეფასებები. ასევე, გავიხსენოთ ვორონცოვების ოცწლიანი მთავარმართებლობის ისტორია – რამდენი სიკეთე აქვთ მათ გაკეთებული. რა თქმა უნდა, იყო მრავალი უარყოფითი მოვლენაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, მაგრამ გაცილებით მეტი იყო დადებითი.

**რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება და სამხედრო ხელმძღვანელობა რომ დაუნდობელი და უბოროტესი დამპყრობელი და აგრესორია, ეს საყოველთაოდ, საუკუნეების მანძილზე არის ცნობილი.**

**მასთან ყველა სახელმწიფოს ფრთხილი ურთიერთობა და მოზომილი დამოკიდებულება აქვს.**

ეს არ იცოდა ჩვენმა უგუნურმა პრეზიდენტყოფილმა, რომელიც თავისი ბოროტებისა და სიბრიყვის გამო დაპატიმრებულია?! ოპოზიცია კი მას მხარს უჭერს, იბრძვის მისი განთავისუფლებისთვის, ხელისუფლებას კი მოძღვრავდა, სანქციები დაგვეწესებინა რუსეთისთვის იმის გამო, რომ რუსეთი თავს დაესხა უკრაინას, ქვეყანას, რომლის ზნედაცემულმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოგვისია ცოფიანი აფთარი არახამია და შეიფარა, დააწინაურა, მშვენიერი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნა საქართველოდან გაქცეულ სისხლის სამართლის დამნაშავეებს – ადეიშვილს, ლორთქიფანიძეს, თარგამაძეს, საყვარელიძეს, ზღულაძესა და სხვებს.

**მე არავის ჭკუას არ ვარიგებ, მაგრამ, ვინაიდან მაქვს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, მამაშვილურად, უმორჩილესად გთხოვთ, დამშვიდდით, დაწყნარდით, დაფიქრდით, ყურადღებით მოუსმინეთ ირაკლი კობახიძის, ირაკლი ღარიბაშვილის, შალვა პაპუაშვილის, დავით ქართველიშვილის, მამუკა მდინარაძის, დავით თარხან-მოურავის, ირმა ინაშვილის, ლევან**

**მომიტინგეთა უმრავლესობა უწიგნური, გაუნათლებელი ბრბოა. ისინი ოჯახში არ არიან აღზრდილები. ამ ბაკქანალიაში მშობლებისა და ოჯახის პასუხისმგებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამ თავგზააბნეული. უმწიფარი თინეიჯერების და ახალგაზრდების...**



ვასაძის, რეზო მიშველაძის, დემურ გიორხელიძის, არჩილ თალაკვაძის, გია ჯოლსკის, ირაკლი ზარქუას, რატი იონათამიშვილის, გურამ მაჭარაშვილის, პეტრე მამრაძისა და სხვა გონიერი, შორსმჭვრეტელი პიროვნებების გამოსვლებსა და ინტერვიუებს და, ეჭვი არ მეპარება, თქვენც გაიზიარებთ მათ წინადადებებსა და მოსაზრებებს.

**ჩვენს ბედკრულ და მტრებით გარშემორტყმულ სამშობლოს ახლა მაინც ნორმალური განვითარებისა და წინსვლის საშუალება მივცეთ. ნუ გავაუბედურებთ ჭეშმარიტი კლასიკოსის, ჩემი უახლოესი მეგობრის ჭაბუა ამირეჯიბის შეგონება – „ჭკუით, ქართველებო! ჩვენ ობოლი ერი ვართ".**

ამ არეულობას სტიმული მისცა საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილმა, უხიაგმა და უკმეხმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც სრულიად უკანონოდ და არაობიექტურად შეიწყალა ბოროტი კრიმინალი და ვიგინდარა ნიკა გვარამია. აღმაშფოთებელია, რომ ამ უტიფარმა დედაკაცმა ნათელ-მირონობის სპეტაკი ურთიერთობაც კი წაბილწა!

სამწუხაროდ, მან ბოლო პერიოდში პრეზიდენტისთვის სრულიად შეუფერებელი საქციელითა და გამაოგნებელი განცხადებებით შეგვაძრწუნა.

ჩვენ მოღალატეები და დამსმენები არასდროს გვაკლდა, რომლებიც სპარსეთში და ოსმალეთში მირბოდნენ დასაბეზღებლად, მათ სარწმუნოებასაც იღებდნენ და ერთგულადაც ემსახურებოდნენ დიდი ანაზღაურების ფასად. სამწუხაროდ, დღესაც გვყავს ამგვარი მოღალატენი და სამშობლოს მტრები, რომლებიც ამერიკაში და ევროპაში დარბიან და სრულიად უსამართლოდ და არაობიექტურად აკრიტიკებენ ქვეყნის კეთილგონიერ ხელისუფლებას. მათ შორის განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ყოფილმა უგვანმა დიპლომატმა **ნატა საბანაძემ** და სოროსის გამოზრდილმა **ვანო ჩხიკვაძემ.** ეს ორი რეგვენი საქართველოდან უნდა გავაძევოთ. ანალოგიური ბოროტება ჩაიდინეს აღიარებულმა ზუგდიდელმა „ლამაზმანმა" – „კაროჟნა" **ანა წითლიძემ** და ნაძირალა **ლევან ბეჟაშვილმა,** რომლებმაც სტრასბურგში მოითხოვეს საქართველოს ევროსაბჭოში ოცდახუთწლიანი წევრობა და თანამშრომლობა მკაცრად შეიზღუდოს!





ნაციონალებმა ცემისგან დაავადეს და სიკვდილამდე მიიყვანეს „ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი, დღისით-მზისით მოკლეს ცნობილი ფილოლოგი, აკადემიკოსი და პოლიტიკოსი გურამ შარაძე; დააკავეს და მერე ციხეში დაუნდობლად და სასტიკად აწამეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი...

მეტი სიფხიზლე, სიფრთხილე და დაფიქრება გვმართებს, მეგობრებო, ვინაიდან არც აშშ-ისა და არც ევროსტრუქტურების (განსაკუთრებით ევროპარლამენტის) პოლიტიკაში სამართლიანობას, ობიექტურობას და, მით უმეტეს, ზნეობას ადგილი არა აქვს. ბიძინა ივანიშვილს მწვავედ აკრიტიკებენ, თავად კი კორუფციაში იხრჩობიან. ამერიკა სააკაშვილის რეჟიმს ყველა ბოროტებას პატიობდა, არც სანქციებს უწესებდა.

ჯო ბაიდენს თავისი ზრდასრული შვილისთვის – ჰანტერისთვის ვერ მოუვლია და ამერიკას ან მსოფლიოს მოუვლის?! ის მართლაც ბოროტების იმპერიის პრეზიდენტია, უტიფრად რომ ერჩის ჩვენს საშინაო საქმეებში, ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების შედეგებს, რომლებიც მშვიდ ვითარებაში კეთილსინდისიერად, ობიექტურად, სამართლიანად ჩატარდა ოცნების აშკარა გამარჯვებით და დიდი უპირატესობით!

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რობინ დანიგანი გვაყვედრებს, რომ ექვს მილიარდზე მეტი დოლარის დახმარება გაგვიწია 32 წლის განმავლობაში, არადა მისი წინამორბედი კელი დეგნანი ყოველთვის სამ მილიარდ დოლარს ასახელებდა. ქალბატონო რობინ, იქნებ ერთმანეთში გაგერკვიათ და დაგეზუსტებინათ, რა თანხის და რა სახის დახმარება გაქვთ გაწეული საქართველოსთვის!

თქვენ ალბათ ამ თანხაში თვლით უბოროტეს, რადიკალურ ოპოზიციასა და ჩვენს მტრებს – არასამთავრობოებს, რომლებსაც ასაჩუქრებთ სრულიად უკანონოდ დიდი „შავი" ფულით. ეს არის თქვენი სტრატეგიული მეგობრობა?!

**ჩემი აზრით, დღეს ამერიკასა და ევროპას უფრო მეტად სჭირდება საქართველოსთან კეთილმეგობრული და საიმედო ურთიერთობა, ვიდრე საქართველოს – აშშ-სთან და ევროპასთან.**

საქართველოსთვის ამერიკა არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი. ის ჩვენთვის ინვესტიციებს არასდროს არ იმეტებდა და ჩვენს უსაფრთხოებაზე არასდროს ზრუნავდა. მიუხედავად ამისა, საქართველომ 12 წლის განმავლობაში არნახული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წარმატება მოიპოვა, ამერიკის დახმარების გარეშე, რაც დადასტურებულია ობიექტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკვე 12 წელიწადია, არცერთ ბიზნესმენზე არავითარი ზეწოლა და ბიზნესის წაგლეჯა-გადაფორმება არ მომხდარა.

**აშშ-სთან ასეთი „მეგობრობა", „სტრატეგიული პარტნიორობა" და მუზეუმური მტრობაც ჩვენ დაგვღუპავს, ამერიკული დემოკრატია კი მრყვნელი სტყუარაა. წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო ბატონობის მსურველი ამერიკა ვინმეს მეგობარი იყოს. საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა, მეგობრობა და პარტნიორობა კი არა, ბატონყმური ურთიერთობაა. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენისა და მათი ელჩების თავხედური და ამაზრზენი უსაქციელობა. მათ ჩვენ მხოლოდ რუსეთთან დაპირისპირებისთვის ვჭირდებით და მონდომებით ასრულებენ ალენ დალესის დოქტრინის ყველა პუნქტს: არც განათლება და მეცნიერება, არც სარწმუნოება და ოჯახური სიწმინდე, არც ტრადიციები და ეროვნული იდენტობა, არც პატიოსნება და კეთილსინდისიერება, არც ჭეშმარიტი კულტურა და ხელოვნება, არც მრეწველობა და სოფლის მეურნეობა...**

აუცილებლად უნდა გაჟღერდეს გაეროს ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ საქართველო ამხელს აშშ-ის ადმინისტრაციას ამ უმსგავსობაში. ამისათვის ამინდი დღეს მსოფლიოში მომწიფებულია.

დაბოლოს: ბატონ ბიძინა ივანიშვილს ურიცხვი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის – მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. მარტო ქართველთმოძულე, პირუტყვი, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის მოშორება რად ღირდა?! ბატონმა ბიძინამ, ამ კეთილშობილმა პიროვნებამ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად გადასცა 979 წელს იოანე ზოსიმეს ხელით შესრულებული ერთადერთი უძველესი ქართული ხელნაწერი, ჩვენი კულტურის უძვირფასესი საგანძური, რომელიც მან შეიძინა 1 250 000 გირვანქა სტერლინგად „კრისტის" აუქციონზე.



უღრმესი მადლობა, ბატონო ბიძინა.

გაიხაროს თქვენმა ბედნიერმა და ულამაზესმა ოჯახმა.

**ომარ მარგველაშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

# გამოჩენილი ეთნოლოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე



## ელდარ ნადირაძე – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ელდარ შალვას ძე ნადირაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო, ბატონო ელდარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.

ჩვენ, თქვენს კოლეგებს, კარგად მოგვეხსენება, თუ რა ღრმა კვალი გაავლეთ თანამედროვე ქართულ მეცნიერებასა და მწერლობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არცაა გასაკვირი. თქვენ ხომ იმ ოჯახიდან გამოხვედით საზოგადო ასპარეზზე, რომლის თითოეულ წევრს გულის ფიცარზე ეწერა ის დიადი სამება, რასაც მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია.

სრულიად საქართველო გიცნობთ, როგორც გამოჩენილ ეთნოლოგს, კულტუროლოგს, პუბლიცისტს, რომლის მეცნიერული მონოგრაფიები თუ სტატიები საქართველოს ისტორიის წარსულით ფეთქავს თუ სუნთქავს. რად ღირს თუნდაც თქვენი მრავალწლიანი კვლევა გარეჯის სამონასტრო ცენტრების სოციალური და მატერიალური კულტურისა, რომლის ბაზაზეც შექმენით მონოგრაფია „უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა". ეს მონოგრაფია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, როდესაც მავანნი ქართული სულიერების ამ უმძლავრეს კერას გვედავებიან და მის წართმევას ლამობენ.

ანდა აქვე როგორ არ ვახსენოთ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის საეტაპო ნაშრომი – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც დიდ სიახლედ იქცა ქართველოლოგიის კვლევის დარგში. ეს სასოებით შექმნილი ნაშრომი დაბეჯითებით მიუთითებს იმ უმნიშვნელოვანეს წვლილზე, რომელიც ქართველ ხალხს აქვს შეტანილი მსოფლიოს ხალხთა ეთნოკულტურის საგანძურში. სწორედ მსგავსი სულისკვეთებითაა გამსჭვალული თქვენი, როგორც საკანდიდატო („ხალხური ქვითხუროზა საქართველოში" – 1987 წ.), ისე სადოქტორო („საქართველოს მემორიალური კულტურა" – 1988 წ.) დისერტაციები. ოცდათხუთმეტი მონოგრაფიის ავტორი ხართ, ისეთებისა, როგორიცაა „საქართველოს ზოომორფიული ძეგლები", „მემორიალური სიმბოლიკა", „მსოფლიოს რელიგიები", „ქართული ლუდი", „ვაზი – სიცოცხლის ხე", „ვაზი და ღვინო საქართველოს არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში", „ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი", „ქართველები", „უსანეთის სტელა და ხატი", „საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან", „მზით განათებული ათასწლეულები"...

დამაარსებელი და რედაქტორი ხართ სამეცნიერო რეფერირებული კრებულებისა („ეთნოლოგიური ძიებანი" და „შრომები"). მოხსენებებით გამოდიოდით მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე, რომლებიც გაიმართა ბუქარესტში, პატმოსში, რიგაში, ტალინში, ვენაში და ღირსეულად წარმოადგენდით თქვენს სამშობლოს.

თქვენი ცხოვრებისეული გზაც მთლიანად მშობელი ქვეყნის წარსულის კვლევას მიუძღვენით. სახელოვანი გზა განვლეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის რიგითი თანამშრომლიდან ამავე მუზეუმის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამდე.

ძალზე გვახარებს, რომ ასეთი დონის მეცნიერი ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეული წევრია.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1970 წელს შედგა, როდესაც თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „მაკლერი". მას შემდეგ თქვენი პროზაული და პუბლიცისტური კრებულები („საქართველო – ასი კაცის ქვეყანა", „გრძნობა შენი მოვლისა", „მიხარის, გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ", „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა", „კარდანახი", „დიდ საქმეთა პატარა ამბები") მუდმივად ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესის ცენტრშია. ამ კრებულებში შესული მოთხრობები, ნოველები, ესსეები თუ მოგონებები დიდი შინაგანი ექსპრესიით და, რაც უმთავრესია, მწერლური ნიჭიერებითაა დაღდასმული. მშვენიერი მექართულე ხართ და ესეც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს თქვენს ლიტერატურულ ტექსტებს. რაც მთავარია, ამ კრებულებიდან მათ ესაუბრება სამშობლოს გულანთებული პატრიოტი, რომელიც არავის დაანებებს საჯიჯგნად მის მამულს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. იმ იგავმიუწვდომელ ტრადიციებს, დღევანდლამდე რომ მოიყვანეს ივერთა მიწა...

1999-2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყავით და იქაც მხოლოდ თქვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურებოდით.

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების მედლით. მონიჭებული გაქვთ „საგურამოს" პრემია და ქართული კულტურის რაინდის საპატიო წოდება. არჩეული ხართ საჩხერის საპატიო მოქალაქედ. თქვენი სახელი შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში".

ბატონო ელდარ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# კაცი, რომელსაც ეამაყება თავისი ქართველობა

**ბესარიონ ხვინთელიანს, ცნობილ მეცენატს, ფილანტროპს, ეკონომისტს, მეცნიერს, აფხაზეთისა და სვანეთის, სრულიად საქართველოს ღირსეულ თანამემამულეს ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის წარდგენა არ სჭირდება. ოციოდე წლის წინათ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ეს ფუტკარივით მშრომელი და კარგი ბიზნესმენი, თავისი ეროვნული საქველმოქმედო ღვაწლით, არაერთხელ წარმოვაჩინეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე... მერე, სააკაშვილის მავნებელმა, ანტიეროვნულმა, კაცთმოძულე რეჟიმმა (რატომ ჩვენს ნავში არ ჯდები და მილიონებს არ „გვჩუქნიო"!), ეს ამაყი, სულითა და ხორცით ლამაზი კაცი, სამი შვილის მამა ბესარიონ ხვინთელიანი ციხეში გამოამწყვდიეს... თითქმის ოთხი წელიწადი გაატარა ბესომ სააკაშვილისდროინდელ ჯურღმულში და ბედის წყალობით, დადგა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" დიდი, სახალხო მხარდაჭერით მოსვლის დრო! 2012 წელს პოლიტპატიმარი ბესო ხვინთელიანი გაათავისუფლეს და მამულიშვილური საქმეების კეთებისკენ დაულოცეს გზა.**

სრულიად ბუნებრივი და ადამიანურად გასაგებია, რომ საკუთარი ნიჭით და შრომისმოყვარეობით ამაღლებული, მატერიალურად გაძლიერებული ბესო ხვინთელიანი შესანატრი ერთგულებით ემადლიერება „ქართული ოცნების" დამფუძნებელს ბიძინა ივანიშვილს და მისი გუნდის თითოეულ წევრს ქვეყანაში მშვიდობის განმტკიცებისა და გეგმაზომიერი ეკონომიკური აღმავლობისთვის...

ციხის საკანში უფლის წყალობას მინდობილმა ბესო ხვინთელიანმა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ლოცვას, საკუთარი სულის გამოწვართას და ლექსების წერას მიჰყო ხელი. როგორც ამას ჩვენი დიდებული პოეტი და პუბლიცისტი კობა არაბული ახლახან გამოცემული ბესოს წიგნის „გზა უფლისაკენ" წინასიტყვაობაში წერს – **„ბესარიონ ხვინთელიანი ამ ნააზრევით სვანური, მითოსური ენგადის შუაგულში დგას და იმით სუნთქავს, – ეამაყება (უხარია) თავისი ძველ-ქართველობა და სვანობა! ბესარიონი ეროვნული სულის და რწმენის კაცია: ქველმოქმედი, ტაძრების მშენებელი (დარიალის მონასტრის და ლატალის ეკლესიის) და იმ სულიერი ღირსების მქონებელი – მწერლის მისია რომ ჰქვია... ბესოს ლექსებში ღვივის სამშობლოს სიყვარულის ღადარი".**

ნახეთ, რა ლაღად, გულწრფელად წერს ბესარიონ ხვინთელიანი საკუთარი წიგნის წინათქმას:

**„ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 17 წლის ბიჭი კამანიდან (არის სოფელი სოხუმთან ახლოს) მრავალთა მსგავსად, ცხოვრების გზის საძებნელად მოსკოვისკენ გავეშურე, ხელთ მხოლოდ სკოლის დამთავრების ატესტატი მეჭირა, ხოლო გული დედის გულის მცხუნვარებითა და მამის მადლიანი გამოხედვის სითბოთი სავსე, ათასი ოცნებით მქონდა დამძიმებული.**

**ცხოვრების გზა არ იყო მარტივი. მრავალ ქარტეხილს შევენარცხე. მაგრამ უფლის ხელს ყველგან ვგრძნობდი. ღირსებისა და პატიოსნების გზას არასოდეს ავცდენილვარ. ჩემი მოკრძალებული, მაგრამ ოფლით დაცვარული ხნულის გავლებას ყოველთვის ვცდილობდი.**

**გზადაგზა ოცნებათა ნაწილს ალბათ ფერებიც შეეცვალა. ნაბიჯებიც გამოცდილებასთან ერთად დაიხვეწა, საფიქრალს და საჭირბოროტოს რა გამოულევს კაცს.**



**დრო მოვიდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ახდა ჩემი საქართველოს ოცნება – იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდა.**

**თუმცა ბევრნი მდგომარეობის გამოისობით მის საზღვრებს გარეთ დავრჩით. მერე აფხაზეთშიც ცოდვის კალო დატრიალდა. ბავშვობის სანახებთან ერთად მშობლების საფლავებიც მიუწვდომელი გახდა ჩემთვის.**

**ვაი, რომ ეშმაკებიც იყვნენ შესეული ჩემს მამულს.**

**არ მაპატიეს სამშობლოს სიყვარული. ათიათასთა გვერდით, მხოლოდ ერთი ბრალდებით – რატომ გიყვარსო საქართველო – მათ მიერ შექმნილ ჯოჯოხეთში გამომკეტეს (დაილოცოს უფლის ძალა, საქართველო გადაარჩინა და მეც მიშველა – პოლიტპატიმრის სახელით თავისუფალთა სამყაროს დავუბრუნდი).**

**განუზომელი იყო ჩემი დაბნეულობა და ტკივილი. ტვინსა და გულს მიბურღავდა მწარე კითხვა – რატომ? მაგრამ პასუხი არსაით ჩანდა, მხოლოდ ერთს ვგრძნობდი – იმედად და ნუგეშად უფალი გვერდით მედგა, მისმა ძალამ ამაღებინა ხელში კალამი, პასუხის საძებრად მიბიძგა და უზენაესის ენით ბევრი რამ მიკარნახა. გულმა ყველაფერი მორჩილად შეისისხლხორცა, მერე დაწურა და ენას მიანდო. მან ბაგეებს გარეთ როგორ გამოიტანა, მკითხველმა განსაჯოს, მკითხველი კი მჯერა, რომ მკაცრი არ იქნება, მე ხომ მას უპრეტენზიოდ, ეშმაკთა ჯურღმულიდან სულის ამოძახილს ვაწვდი.**

**ეს პატარა წიგნი უფლის წინაშე მუხლმოდრეკილ ლოცვად ჩამითვალეთ. თუ ეყო სითბო, გათბით მისით, შემინდეთ და მამული დამილოცეთ"...**



✦ ✦ ✦

დღეს გთავაზობთ ბესო ხვინთელიანის ორიოდე ლექსს, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს უღმერთ, უზნეო, უღმერთო და ანტიეროვნულ ოპოზიციას გაუხარდება...

დიახ, ასეთი სიყვარული, პატივისცემა და ამაგის დაფასება იციან საქართველოში, თქვე უსამშობლო მანქურთებო!

**სპარტაკ ქობულია**



**ბესარიონ ხვინთელიანი**

## ერის ექვსი მამა და ახალი მეშვიდე

*ქართული მწერლობის მამა და ლოტბარი –*
*ფარნავაზ მწიგნობარი!*
*რჯულის და ერის მფარველი სარდალი*
*ვახტანგ გორგასალი!*
*ღვთისგან ბოძებული ქვეყნის დამამშვენებელი –*
*დავით აღმაშენებელი!*
*ძლიერი საქართველოს მებრძოლი*
*მძვინვარე–*
*გიორგი ბრწყინვალე!*
*ქვეყნის კარდაკარ მოღვაწე მწუხარი –*
*საბა და სულხანი!*
*ქვეყნის განათლების და მომავლის*
*სარდალი –*
*ილია მართალი.*
*ქვეყნის გადამრჩენი და*
*სიკეთის შემოქმედი, ღვთის კაცი –*
*ბიძინა ქველმოქმედი!..*

## კაცი მეშვიდე

*მტარვალმა ცხრა წლით ბევრი იცინა*
*და საქართველოს ჩასცა ლახვარი,*
*მაშინ გამოჩნდა კაცი ბიძინა*
*და შორს განდევნა ეშმას მსახვრალი.*
*საქართველოში ბობოქრობდა*
*ავი გრიგალი,*
*მართალი ხახის ნაომარი*
*გახსნა იარა,*
*ერი გმინავდა სიკვდილს თითქმის*
*შენარიგალი,*
*ერი, ვის სულზეც უზნეობამ გადაიარა.*
*შავმა ქარცეცხლმა ბევრს დაატყო*
*ცოდვის ლაქები,*
*ვნებებისათვის მათი გული*
*ღია დატოვა,*
*უცხო ტომელთა შემოიჭრნენ*
*როკვით „ვარდები"*
*და გაუზრდელი ბავშვი დედამ*
*გზად მიატოვა.*
*ჩემს მიწა-წყალზე ბოროტების*
*ზარმა დარეკა,*
*მის ზეობისას მრავალ კეთილს*
*გამოვემშვიდე*
*და როს მეგონა ყოველივე*
*ბინდმა წალეკა,*
*მაშინ გამოჩნდა გადამრჩენი*
*კაცი – მეშვიდე!!!*
*გამოჩნდა სათნო, აღარ ისმის*
*ექო თოფისა,*
*ის უზნეობის ქედუხრელი*
*გამძლე მტერია...*
*და ჩემს სამშობლოს, როგორც*
*უწინ, ავბედობისას,*
*სიკეთის ხელით გადარჩენა*
*კვლავ უწერია.*
*სიკეთისათვის უფლის მადლი*
*მეტზე-მეტია,*
*ხოლო ბოროტის დასასრული –*
*ჯოჯოხეთია!*

✦

# აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარმატებული სპორტსმენები დააჯილდოვეს!

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში აფხაზეთის წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში 2024 წლის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონების დაჯილდოება გაიმართა.**

სამინისტროს საპატიო სიგელები და სიმბოლური საჩუქრები აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დავით მორგოშიამ და მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯინჭარაძემ გადასცეს.

მინისტრმა სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული წარმატებებისთვის მადლობა გადაუხადა და მორიგი გამარჯვებები უსურვა.

„სპორტი ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამჟამად სპორტის განვითარების მიზნით არაერთ ახალ ინიციატივას განვიხილავთ. ამასთანავე, შევეცდებით, თითოეულ თქვენგანს კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მიღწევაში შეგიწყოთ ხელი", – აღნიშნა დავით მორგოშიამ.

ღონისძიებას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლები და აფხაზეთის სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



# გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი!

მეხუთე გვერდიდან

გლობალიზაციის თანამედროვე შემოტევის ტემპის გათვალისწინებით, მცირერიცხოვანი ხალხთა ენის შენარჩუნება, ეროვნული კულტურის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი და სათუოა. ამ საყოველთაო ნიჰილიზმში, ურბანიზმის ინდუსტრიის ზეობაში – ერთადერთ თავშესაფრად ისევ და ისევ ეროვნული თავისთავადობის, კულტურის გადარჩენის პრობლემა დგას.

გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი. ესაა გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი დღევანდელობის მთავარი საჭილდაო ქვა. სოსო სიგუას „ღირებულებათა კოლაფსში“ ნათქვამია:

„საყოველთაო ნიჰილიზმი, ეკლესიასტეს ამაოება გზას უხსნის გლობალიზაციას, რომელიც გვპირდება უკონფლიქტო, მშვიდ, ტკბილ, ბედნიერ ცხოვრებას. როდესაც კულტურა ცივილიზაციად იქცევა, ისტორიისა და პრეისტორიულ კვლევას პრაენისა და უკვდავების წყაროს პოვნას პრაქტიციზმი ყოველდღიური საჭიროებებს დაუპირისპირებს და ადამიანებს მხოლოდ პენსიები და ხელფასები, ან ამინდის პროგნოზი დააინტერესებთ.

## „კულტუროლოგიის საფუძვლების“ არსი და მნიშვნელობა

**ეროვნული კულტურა უკავშირდება ერის ბედს. ერი კი, როგორც ვთქვით, ქმნის სახელმწიფოს. მაგრამ თუ მივნებდით გლობალიზაციის ტალღებს, ერი დაკარგავს თავისთავადობას და სახელმწიფო იქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად, ეკონომიკურ რეგიონად, ყველაფერი იქცევა წარსულად, ისტორიად, რომელსაც მხოლოდ მუზეუმები შეიფარებენ.**

ამიტომ გლობალიზაციის ამ შეუქცევად მარათონში ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს, რათა არ ჩაიკარგოს და მოდერნიზებით შეინარჩუნოს ნაციონალური მოდუსი, რათა ისევ ყვაოდეს სიცოცხლის ხე, მწვანე ფოთლებით შემოსილი“.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“ თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომია; მისი მეცნიერული ღირებულება მასში წამოჭრილი და შესწავლილი პრობლემების რეალური არსებობით განისაზღვრება. სამტომეულმა ფაქტობრივად მოიცვა თანამედროვეობის ინტელექტუალური სააზროვნო სივრცე, დადგინდა ქართული კულტურის მიმართება უახლეს ტენდენციებთან; გაირკვა თვითგადარჩენის მუხტის არსებობა და მისი არქაული საფუძვლები; მოინიშნა ძირითადი ტენდენციები გადარჩენისათვის და უახლესი ტენდენციებიდან აუცილებელი განახლების მუხტის მიღებისათვის.

**სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც საჭირო და მნიშვნელოვანია არა მარტო სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, არამედ მთელი განათლებული საზოგადოებისათვის, ვისაც თანამედროვე სოციოკულტურულ პროცესებში ძირეულად გარკვევა მართლაც სურს.**

**ეკა ცხადაძე,**
პროფესორი

# XIX საუკუნის ტფილისური პორტრეტული სკოლა ეროვნულ გალერეაში

**ეროვნული გალერეა XIX საუკუნის ქართული პორტრეტული ფერწერის გამოფენას უმასპინძლებს. ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის ერთ დარბაზში გამოიფინება შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული XIX ს.-ის ე. წ. ტფილისური პორტრეტული სკოლის დაზგური ფერწერის 18 ნიმუში – იმდროინდელი საქართველოს მკვიდრთა – ბატონიშვილების, თავად-აზნაურთა, სამხედრო პირთა, მოხელეთა და მოქალაქეთა პორტრეტული გალერეა: თეკლა ბატონიშვილის პორტრეტი; ახალგაზრდა გურიელის პორტრეტი; ივანე პეტრეს ძე ივანიძისა და მისი მეუღლის – მაგდალინას პორტრეტი და სხვ.**

ქართული ხელოვნების ისტორიაში სხვადასხვა მხატვრული სტილის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენდა განსხვავებული კულტურული სამყაროები, რაც განპირობებული იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და პატარა ქვეყნების ბუნებრივი ხვედრით. XVIII ს.-ის II ნახევარსა და XIX ს.-ის I ნახევარში აღმოსავლურ-ისლამურ და ევროპულ სამყაროთა ზემოქმედების კვალი აშკარად გამოვლინდა არა მარტო ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში, არამედ ქართულ ხელოვნებაშიც.

მრავალსახოვანი იყო საქართველოს დედაქალაქიც, ამიტომაც XIX ს.-ის დასაწყისში ტფილისური პორტრეტული სკოლის გამომსახველობითი სისტემის ფორმირებისას შეიმჩნევა სხვადასხვა მხატვრული ტრადიციის შეთავსება. ამ სკოლის წანამძღვართაგან აღსანიშნავია თავად ქართული საწყისი – შუა საუკუნეების საქართველოს კედლის მხატვრობაში არსებული საერო ქტიტორული პორტრეტის ხანგრძლივი ტრადიცია; უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ირანული მხატვრობაც. ტფილისური პორტრეტული სკოლის სტილისტური სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპული დაზგური ფერწერის ზეგავლენით ჩასახულმა XVIII ს.-ის II ნახევრის ქართულმა პარადულმა პორტრეტმაც. საქართველოში




შემორჩენილია ტფილისური პორტრეტული სკოლის 200-მდე ნიმუში, რომელთა მახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა ტიპურობა, ზოგადი და საყოველთაო ხასიათი.

**გამოფენა 6 ნოემბრიდან 2025 წლის 31 იანვრამდე გაგრძელდება.**


# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ მდ. სუფსაზე 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 21 ნოემბერი, 15:00 საათი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო სურების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 28 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „აგროქემიკალს ჯორჯიას“ მიერ ქ. თბილისში, ზაჰესის ტერიტორიაზე მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების (შაბიამანი და ბორდო) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 13 დეკემბერი, 13:00 საათი, ქ. თბილისი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის N1გ)**საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 28 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.




# უფასო სკრინინგული გამოკვლევები თეთრწყაროში მცხოვრები დევნილებისთვის

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ქვემო ქართლის რეგიონში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზეთიდან დროებით დევნილებს უფასო მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდათ.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, აქციის ფარგლებში ბენეფიციარებს მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტების კონსულტაცია ჩაუტარდათ და ექიმის დანიშნულების შესაბამისად საჭირო მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ.

ღონისძიების მიმდინარეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მანონა გეჯუა და სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

◎ დინასტია

# აცადეთ შვილებს ფეხბურთის თამაში!

**როცა სპორტულ გვარებზე ვსაუბრობთ, ღირსეულად უნდა მოვიხსენიოთ ჭელიძეების ღვაწლი. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საუკუნის წინათ ქართული კალათბურთის დაბადება ალექსანდრე ჭელიძის სახელს უკავშირდება, ხოლო რაც შეეხება ფეხბურთს, პირველი თაობის დინამოელით – გრიგოლ (მიხოია) ჭელიძით დაწყებული და საკავშირო თასის პირველი მფლობელი გუნდის კაპიტნით – ვახტანგ ჭელიძით გაგრძელებული, რომელსაც დაუვიწყარი 1976 წლის გათამაშების ფინალში ერევნის „არარატთან“ ტრავმამ შეუშალა თამაშში ხელი, ტრადიცია გრძელდება და მას თანამედროვეთაგან განსაკუთრებით ნოდარ ჭელიძის ოჯახი უფრთხილდება.**



– 60 წლის წინათ ქუთაისში დავიბადე და 6-7 წლისა ვიქნებოდი, მრავალი ბავშვის მსგავსად იქაურ „დინამოს“ სტადიონზე რომ მიმიყვანეს სავარჯიშოდ – მეუბნება დინასტიის მესაძირკვლე ბატონი ნოდარი. **ომარ ქოგალია, ჯუმბერ ჯალაღონია** და **ომარ ჯორბენაძე** იყვნენ ჩემი პირველი მწვრთნელები.

*მოვლენებს წინ გავუსწრებ და ამთავითვე მოგახსენებთ, რომ თავადაც მომავალ თაობათა სამაგალითო აღმზრდელი, რომელსაც 30-წლიანი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში 1 ვარჯიშიც კი არ გაუცდენია, ალალი მადლიერების გრძნობით იგონებს იმ სპეციალისტთა ამაგს, დიდი წვლილი რომ შეიტანეს მის პროფესიულ ფორმირებაში:* ***ვოვა ელოშვილი, ალიკ ილიადი, მურად წივწივაძე, სოსო ფრუიძე, გარი სორდია, გივი ნოდია, გიგა ნორაკიძე, ვენიამინ არზამასცევი, ნოდარ ახალკაცი, რევაზ ძოძუაშვილი...***

***– თუმცა, მოდით დავუბრუნდეთ პირველ ნაბიჯებს:***

– ჩვენ ის თაობა ვიყავით, ტყავის ბურთის პრიზზე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე რომ ვიწყებდით დაოსტატებას. ამას მოჰყვა სპარტაკიადებსა თუ ტურნირებზე მოპოვებული საპრიზო ადგილები და როგორც საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში, ისე მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში“ მიწვევა, სადაც 1980-87 წლებში უმაღლეს ლიგაშიც მომიწია ამ გუნდის ღირსების დაცვა და პირველ ლიგაშიც. საერთოდაც, ისე მოხდა, რომ მართალია სხვადასხვა დროს მცირე ხნით სამტრედიაშიც (ბუფერული ზონა) მიმიწვიეს და თბილისის „დინამოშიც“, მაგრამ ბოლოს მაინც „ტორპედოში“ ვბრუნდებოდი, კარიერა კი წყალტუბოში დაკავებული მე-4 ადგილით დავასრულე.



***– ალბათ, ლოგიკურიცაა, მწვრთნელობა ქუთაისში რომ დაიწყეთ.***

– მაშინ „ტორპედოს“ „მიხიჩა“ და ფრუიძე ავარჯიშებდნენ, ხოლო შემდეგ უკვე „ოლიმპის“ სკოლაში გადმოვედი და ღუზა ბავშვთა ფეხბურთში ჩავუშვი, მას შემდეგ კი, რაც იქ მონასტერი აირია, „საბურთალოს“ სკოლაში გადმოვედი 87-წლიანების გუნდით **(ალთუნაშვილი, გოშთელიანი, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი)**, სადაც ისეთი პროფესიონალები უძღვებოდნენ საქმეს, როგორიც **ტარიელ ხეჩიკაშვილი** და **კახა ჭუმბურიძე** ბრძანდებიან. სწორედ აქ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი ბავშვთა ფეხბურთშია, „იბერია“ (ყოფილი „საბურთალო“) კი საკუთარი ფესვებით საზრდოობს და ყოველ წელს ან ჩემპიონობისთვის, ან საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. დიახ, გუნდის წევრთა თითქმის 80 პროცენტი ჩვენი აკადემიის აღზრდილია, მისი წარმატებები კი კლუბის პრეზიდენტის ტარიელ ხეჩიკაშვილისა და ხელმძღვანელობის დამსახურება (დირექტორი – **კახა ამირიძე**, სპორტული დირექტორი – **ლევან სილაგაძე**).





***– დიდ ფეხბურთთან განსხვავებაზე რას გვეტყვით?***

– ბავშვთა ფეხბურთი სპეციფიკურია და მიმაჩნია, რომ მომავალ თაობათა მწვრთნელს დიდი ფეხბურთი უნდა ჰქონდეს ნათამაშები. დიახ, თუ პატარები არ გვეყოლება, დიდი ოსტატებიც არ გვეყოლება. მერწმუნეთ, მოხარული ვიქნები, თუ ვინმე მოვა ჩემთან სათანამშრომლოდ და ბავშვებიც ასე უფრო ისწავლიან ფეხბურთს. საერთოდ კი, კომპიუტერების თაობას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს და ქუჩის ფეხბურთი უნდა დაბრუნდეს, რაშიც ფედერაციამ და კლუბებმა სოლიდური როლი უნდა ითამაშონ. რაც შემეხება მე, ადრე თუ გვიან მომიწევს კარიერის დასრულება და მინდა, რომ საკუთარ მრწამსთან პირნათელი ვიყო.

***– ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ევრო – 2024-სა და ეროვნული ნაკრების მნიშვნელოვან წარმატებას.***

– ეს ბიჭები ჩემთან ერთად გაზრდილთა შვილები არიან. სანამ გერმანიაში წავიდოდნენ, უბრალო ბიჭები იყვნენ და 1 კვირაში იმიჯი შეიქმნეს. სხვათა შორის, აქვე დავძენ, რომ „ნიუკასლში“ მიწვეული **ვახტანგ სალია** უკვე განსაკუთრებული ტალანტია და ადასტურებს, რომ როცა ფეხბურთი გამორჩეულად გიყვარს, ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი.

***– იქნებ, თქვენი მდიდარი კარიერის რამდენიმე ეპიზოდიც გავაცნოთ მკითხველს.***

– თბილისის „დინამოს“ ოქროს თაობასთან შეხვედრის დროს **გრიგოლ თევზაძეს** შევუძახე, გაინძერი-თქო და იმან მიპასუხა – მაცალე, დავტკბე დიდოსტატების თამაშითო.

– ასევე დამამახსოვრდა **ვიტალი დარასელიასთან** საჰაერო ბრძოლა, როცა ორივე დავეცით მინდორზე და სახელოვანმა მეტოქემ ისე გამამხნევა, რომ დიდი სტიმული მომცა.

– და ბოლოს: ასევე დაუვიწყარია ის შემთხვევა, როცა „ტორპედოს“ კაპიტანი ვიყავი და სასტუმრო „აჭარიდან“ დაგვიანებით მისულს, სულმნათმა გივი ნოდიამ შენიშვნა ჩვეული ტაქტით მომცა, რასაც შემდგომში ყოველთვის ვითვალისწინებდი.

***– ჩვენი ინტერვიუს დასასრულს საინტერესო იქნებოდა შვილების მშობლისეული შეფასების მოსმენა (ისე, უკვე შვილიშვილიც დადის ფეხბურთზე).***

– გული მწყდება, რადგან უფრო დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ. მე ჩემს დაშვებულ შეცდომებს ვნანობ და მოვუწოდებ მშობლებს – აცადეთ შვილებს ფეხბურთის თამაში (**ცნობისთვის:** უფროსმა ვაჟმა – ლაშამ ბოლნისის „სიონში“ თამაშის დროს ჩემპიონთა ლიგა დააჭაშნიკა, ხოლო უმცროსმა – გიორგიმ გარკვეული პერიოდი მოსკოვის „ლოკომოტივში“ გაატარა – **გ. პ.**). რაც შეეხება მწვრთნელობას, უკვე ორივეს დიდი გამოცდილება დაუგროვდა და რჩევას ყველას მისცემენ (ალბათ, მალე ჩემი მეუღლეც მოგვბაძავს). მოკლედ, სულ ძიებაში იყავით და ცუდი მწვრთნელისგანაც კი ისწავლეთ რამე!

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**

◎ მოკლედ

**ძალოსნობა**

**უკვე გაუწყეთ, რომ ქართველ 20 და 23-წლამდელთა ტრიუმფით დასრულდა პოლონეთში გამართული ევროპის ჩემპიონატი, სადაც ახალგაზრდა ჯვაროსნებმა 38(!) მედალი მოიხვეჭეს – 6 ოქრო, 20 ვერცხლი და 12 ბრინჯაო (გუნდების მთავარი მწვრთნელები. 23-წლამდელები – გიორგი ასანიძე, 20-წლამდელები – მალხაზ ლომთაძე, ქალთა ნაკრები – თემურ პანჯღავა) და გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს.**

გულშემატკივართა ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ კონტინენტური ფორუმის ჩვენებურ ჩემპიონთა და პრიზიორთა ნუსხას: **23-წლამდელები** – არჩილ მალაყმაძე – 1 ოქრო, 1 ვერცხლი. გურამ გიორგელიძე – 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო. ბაჩუკი შამილიშვილი – 2 ვერცხლი. ზაზა ლომთაძე – 2 ვერცხლი. ზურაბ მსხალაძე – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. ლუკა ქაშიბაძე – 3 ბრინჯაო. საბა ასანიძე – 1 ბრინჯაო. **20-წლამდელები** – მარიამ მურღვლიანი – 3 ოქრო. გოგა ჯაჯვანი – 1 ოქრო, 2 ვერცხლი. გურამ ვეკუა – 1 ოქრო, 2 ვერცხლი. ნათია გადელია – 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო. თორნიკე ლომთაძე – 2 ვერცხლი. ნანა ხორავა – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. ლევან ოჩიგავა – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. გიგა ოდიკაძე – 1 ვერცხლი. ირაკლი ვეკუა – 1 ვერცხლი.

**ძიუდო**

**15-17 ნოემბერი. პილა (პოლონეთი).** 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა (მთავარი მწვრთნელი – **ლომერ ჟორჟოლიანი**). თენგო ზირაქაშვილი (66), გიორგი ტერაშვილი, გიორგი ლოლაძე (73), კოტე კაპანაძე (81), აკაკი ჯაფარიძე, გიორგი ჯაბნიაშვილი (90), მიხეილ ჯაფარიძე (100, ირაკლი დემეტრაშვილი, საბა ქარდავა (+100), ნინო წიკლაური, ნინო ლოლაძე (57), ეთერ ასკილაშვილი, გვანცა მჭედლიშვილი (63), ნინო პაპიძე (+78).




**ხელბურთი**

**ევრო – 2026 (ნორვეგია, დანია, შვედეთი).** შესარჩევი ტურნირის C საკვალიფიკაციო ჯგუფი: საქართველო, ისლანდია, საბერძნეთი, ბოსნია. ფინალურ რაუნდში თითოეული ჯგუფიდან 2-2 უძლიერესი და 3 საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებს. ჯვაროსანთა კალენდარი ასეთია:

**2024 წელი**

**დღეს.** საბერძნეთი – საქართველო.

**10 ნოემბერი.** საქართველო – ისლანდია.

**2025 წელი**

**12 მარტი.** საქართველო – ბოსნია. **15 მარტი.** ბოსნია – საქართველო. **7 მაისი.** საქართველო – საბერძნეთი. **10 მაისი.** ისლანდია – საქართველო.

დავძენთ, რომ ისლანდია მსოფლიო ხელბურთის ერთ-ერთი გრანდია, დანარჩენ მეტოქეებთან კი სავსებით შეგვიძლია ფავორიტის სტატუსის გამართლება და ზედიზედ მეორედ ევროს საგზურის მოპოვება.

# სტუ-სა და „TAM მენეჯმენტს“ შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ სტუდენტებისთვის სტიპენდია დააწესა

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის კომპანიამ – „TAM მენეჯმენტი“ (თბილავიამშენი), სტიპენდია დააწესა. ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.**

უნივერსიტეტის ცნობით, სტუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი თამარ წერეთელი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები „TAM მენეჯმენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს კახა ჟღენტს შეხვდნენ, სადაც გადაწყდა, რომ უნივერსიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, კომპანია საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის, სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, სტიპენდიას დააწესებს.

სტუ-ის ვიცე-რექტორის თქმით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე უკვე მესამე წელია, განახლდა საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის „საავიაციო ინჟინერია“ სწავლება, რომლის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული კომპანია „TAM მენეჯმენტი“. თავის მხრივ, „TAM მენეჯმენტი“ ქართული საავიაციო მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც სპეციალიზებულია სამხედრო, სამოქალაქო და სხვადასხვა კლასის თვითმფრინავების სარემონტო სამუშაოებში, მოდერნიზებაში, დიზაინში და წარმოებაში. კომპანიის ისტორია იწყება 1941 წელს სახელმწიფო საავიაციო ქარხნის შექმნიდან, 2015 წლიდან კი „TAM მენეჯმენტის“ სახელით აგრძელებს საქმიანობას.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის – „საავიაციო ინჟინერია“, დანერგვაში პირადად კომპანიის დირექტორს, ბატონ პანტიკო თორდიას და კომპანიის მენეჯმენტს დიდი წვლილი მიუძღვის. მადლობას გიხდით პროგრამის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობისა და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სტუდენტებისათვის, კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით, სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის გამო. ვფიქრობთ, რომ ეს გაზრდის მათ მოტივაციას კარგად ისწავლონ. ასევე, გაზრდის ამ უმნიშვნელოვანი პროფესიის მიმართ მომავალი თაობის ინტერესს“, – განაცხადა თამარ წერეთელმა.




სტუ-ის ცნობით, „ TAM მენეჯმენტის“ სათავო ოფისში გამართული შეხვედრა ინტერაქციულ და საინტერესო რეჟიმში გაგრძელდა. კომპანიის წარმომადგენლები სტუდენტებს ესაუბრნენ ავიამშენებელი ქარხნის ისტორიის და სამომავლო გეგმების შესახებ. ასევე, დაათვალიერებინეს თვითმფრინავების, მრავალფუნქციური და შვეულმფრენების სარემონტო წარმოება, საკონსტრუქტორო ბიურო და სხვა.

# თსუ სტუდენტურმა კაპელამ ბარსელონაში მსოფლიოს საგუნდო თასი და ოქროს მედალი მოიპოვა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა კაპელამ ბარსელონაში გამართულ პრესტიჟულ და მასშტაბურ კონკურსში სახელწოდებით – „SING FOR GOLD, WORLD CHOIR CUP 2024“, Barcelona უფროსთა A კატეგორიაში უმაღლესი ქულები მიიღო, დაიმსახურა მსოფლიოს საგუნდო თასი და ოქროს მედალი.**

კაპელის ხელმძღვანელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების დოქტორანტი ლაშა მიროტაძე (პროფესორ ლიანა ჭონიშვილის კლასი).

„კონკურსში 34 ქვეყნის 52 კოლექტივი მონაწილეობდა და საგუნდო მუსიკალურ საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობს.



საკონკურსო პროგრამაში აუცილებელი იყო საგუნდო კოლექტივს წარედგინა საკუთარი ქვეყნის წარმომადგენელი კომპოზიტორის საგუნდო ნიმუშები. კაპელამ შეარჩია იოსებ კეჭაყმაძის ნაწარმოებები, რამაც სრულ აღფრთოვანებაში მოიყვანა როგორც დამსწრე საზოგადოება და კონკურენტი გუნდები, ასევე ჟიურის წევრები.

კონსერვატორიის სახელით ვულოცავთ ლაშას და კონსერვატორიის აკადემიური გუნდის მიმართულებას ამ უდიდეს წარმატებას“! – აღნიშნულია კონსერვატორიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ხუდადოვის ტყის აღდგენის სამუშაოები დაიწყო

**თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ჩუღურეთის რაიონში, ხუდადოვის ტყის აღდგენა-განახლებასა და ტყე-პარკის მოწყობას იწყებს. პირველ ეტაპზე ტყის ცენტრალური გზის სავალი ნაწილი და გარე განათება მოეწყობა. ასევე დაგეგმილია 14 426 ნერგის დარგვა. პროექტს გუშინ დედაქალაქის მერი კახა კალაძე მის მოადგილეებთან, ირაკლი ბენდელიანთან და ანდრია ბასილაიასთან ერთად ადგილზე გაეცნო.**

**„ხუდადოვის ტყის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ფართობი დაახლოებით 100 ჰექტარია. აქ გვაქვს გარკვეული პრობლემები იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად იყრება სამშენებლო ნაგავი. ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა დადეს ამ ტყე-პარკის განვითარების ძალიან კარგი კონცეფცია და სამუშაოები რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი. იმის გათვალისწინებით, რომ ვრცელ ტერიტორიაზეა ლაპარაკი, 3-4 წელი დასჭირდება მის მოწესრიგებას. პირველი ეტაპის სამუშაოები დაწყებულია. ეს არის ძირითადი გზა, რომელიც კეთდება, გარდა ამისა, მოეწყობა ღამის განათება, დაირგვება ხე-მცენარეები, ქვედა ზონაში მოეწყობა ატრაქციონები პატარებისთვის, ასევე საფეხბურთო, საკალათბურთო, ჩოგბურთის და პადელის მოედნები. ძალიან დიდი ტერიტორიაა, რომელსაც სჭირდება სწორად ათვისება. ტყეში მაქსიმალურად შენარჩუნდება მისი ბუნებრიობა, თუმცა იქნება მეტად მოწესრიგებული“,** – განაცხადა კახა კალაძემ.



ტერიტორიაზე მოეწყობა სარწყავი სისტემა, შადრევანი, კაფე, სპორტული და საბავშვო მოედნები, ამფითეატრი, ავტოსადგომი, ცხოველების სასეირნო სივრცე და ველოსპორტისთვის განკუთვნილი ბილიკები. პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 3 600 000 ლარს შეაგდენს.



# სახალხო მკურნალი გთავაზობთ

ხალხური მედიცინის ფირმა „იადიგარ დაუდი“-ის (დავით ბაგრატიონი) დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი გთავაზობთ მკურნალობას გარანტირებული შედეგით და მრავალწლიანი გამოცდილებით, ფუტკრის პროდუქტებით: კუჭ-ნაწლავის წყლულები და ეროზიები (ნებისმიერი სირთულის), შებერილობა, ფაღარათი, ბუასილი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, პირიდან სუნი, ბრონქიტი, პირის ღრუ, ენურეზი, ცისტიტი, პიელონეფრიტი (შარდში: ცილები, ლეიკოციტები), მოზარდებში სასქესო ორგანოს განუვითარებლობა, წვრილი ჭია.

მის: წერეთლის გამზირი N57.

ტელ: 599-49-84-23, ნანა.

მიღება წინასწარი ჩაწერით, სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

✦ ✦ ✦

ფირმა „იადიგარ დაუდი“-ის დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი გთავაზობთ მკურნალობას:

1. ფუტკრის პროდუქტებით: პროსტატიტს, სქესობრივ სისუსტეს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას, კონტაქტის შიშს.

2. სხვადასხვა მეთოდებით, პაციენტის გარეშეც ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, ვმუშაობ ნებისმიერ ასაკის პაციენტებზე.

გამოცდილება – მრავალწლიანი, შედეგი – გარანტირებული.

მის: წერეთლის გამზირი N57.

ტელ: 599-49-84-23, ნანა.

მიღება წინასწარი ჩაწერით, სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.


# ქართული ღვინის კომპანიები პრესტიჟულ კორეულ ფესტივალზე



**ღვინის ეროვნული სააგენტოს და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ დეჯონში საერთაშორისო ფესტივალზე „Daejeon International Wine Festival“ ქართული ღვინის 8 მწარმოებლის, როგორც დიდი კომპანიების, ასევე მცირე მარნების ღვინო იყო წარმოდგენილი.**

ქართული ღვინის მსგავს მასშტაბურ ღონისძიებებზე წარდგენა ემსახურება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართველ ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საკუთარი პროდუქცია წარედგინათ ადგილობრივი ღვინის პროფესიონალებისთვის, რაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის წინაპირობაა.

ფესტივალს კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თარაშ პაპასქუა დაესწრო.

კორეის რესპუბლიკაში ქართული ღვინის პირველი წარდგენა 2015 წელს გამოფენაზე „Seoul Interenational Wines and Spirits Expo“ გაიმართა. ამ წლების განმავლობაში განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, ექსპორტი მზარდია: მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოდან კორეის რესპუბლიკაში 68 ათასი ლიტრი ღვინოა ექსპორტირებული, რაც 50%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

# აშშ კიდევ ერთი ძლიერი ტროპიკული შტორმის მოლოდინშია

**აშშ-ში, მექსიკის ყურეში, ტროპიკული შტორმის „რაფაელის” მოლოდინში არიან.**



უჩვეულო და ძლიერი ქარიშხლების ფონზე, აშშ შაბათ-კვირას კიდევ ერთი ტროპიკული ქარიშხლის მოლოდინშია, რაც ნოემბრის თვისთვის იშვიათი მოვლენაა.

ტროპიკული შტორმი კარიბის ზღვაში, ორშაბათს დილით წარმოიქმნა. სინოპტიკოსების ინფორმაციით, ამინდი გაუარესდება და საბოლოო ჯამში, ძლიერი ტროპიკული შტორმი „რაფაელი“ ჩამოყალიბდება.

ელოდებიან, რომ „რაფაელი“ ჯერ კუბას დაატყდება თავს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, მექსიკის ყურისკენ აიღებს გეზს. იქიდან გამომდინარე, რომ შტორმი ახალი ჩამოყალიბებულია, სინოპტიკოსებს მისი ზუსტი მიმართულების განსაზღვრა უჭირთ.

# „საჩუქარი“

## მიხეილ თუმანიშვილის პრიზი ინგლისელ რეჟისორს გადაეცა...




**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ რუხაძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ გახსნას დაესწრო.**

ფესტივალის პირველ დღეს, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, აბრეშუმის ქარხნის დიდი სტუდიის სცენაზე რეჟისორმა დეკლან დონელანმა სოფოკლეს პიესა „ოიდიპოს მეფე“ წარმოადგინა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ბრუნო ნოფერი, იოანა ანდონი, ადელინა გალიჩენუ, როქსანა მატუ, პეტრი სტაფენესკუ, კატალინა ვინატორუ, იარინა ზიდარუ; მხატვარ-სცენოგრაფია ნიკ ორმეროდი, რეჟისორის ასისტენტი – ლაურენტინ ტიუდორი, მუსიკის ავტორი – ქარუ ტიბორი.

იმავე საღამოს გაიმართა ფესტივალის ლაურეატების დაჯილდოებაც. ფესტივალის მთავარი ჯილდო – მიხეილ თუმანიშვილის პრიზი „სრულყოფილებისათვის ხელოვნებაში“ გადაეცა გამოჩენილ ინგლისელ რეჟისორს **დეკლან დონელანს,** რომელმაც არაერთგზის მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. სხვადასხვა დროს გახდა ბრიტანეთის იმპერიისა და საფრანგეთის სახელმწიფო ორდენების, ვენეციის ბიენალეს ოქროს ლომის, პრემია OBIE-სა და ლოურენს ოლივიეს სახელობის ოთხი პრემიის მფლობელი.

ჯილდოს მფლობელები, აგრეთვე, გახდნენ: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი და ცნობილი კომპოზიტორი დავით ევგენიძე.

ფესტივალი 15 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება და მაყურებელს მსოფლიოში ცნობილი და ქართული თეატრების შთამბეჭდავ წარმოდგენებს შესთავაზებს.

# ქართული ფრესკების ასლები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან

**8 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნება გამოფენა – „ქართული ფრესკების ასლები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან“.**




საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაზე დამთვალიერებელს საშუალება ექნება, იხილოს ცნობილი მხატვრების – ევგენი ლანსერეს, გიორგი ხმალაძის, დავით კაკაბაძის, დიმიტრი შევარდნაძის, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილის, ქეთევან მაღალაშვილის, სოფიო მირზაშვილის, გიორგი ერისთავის, ლევან ცუცქირიძის მიერ შესრულებული მონუმენტური მხატვრობის ნიმუშების 17 ასლი (IX-XVIII საუკუნეების ფრესკების ასლები, შემცირებული ასლები, დეტალების ასლები და ჩანახატები).

ასლებს წლების განმავლობაში ქმნიდნენ მხატვრები: ალექსეი ეისნერი, ქრისტინ კრონი, ჰენრიკ ჰრინევსკი, თეოდორ კიუნე, გიორგი ხმალაძე, სერგი პოლტორაცკი, აკოფ გარიბჯანიანი და სხვები, მათ შორის – ახალგაზრდა დავით კაკაბაძე. 1916 წლიდან ამ წამოწყებას შეუერთდნენ ლადო გუდიაშვილი, მოსე და ირაკლი თოიძეები, გიორგი ერისთავი, მიხეილ ჭიაურელი, შალვა ქიქოძე და დიმიტრი შევარდნაძე. გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მონუმენტური მხატვრობის ასლებზე მუშაობდნენ ქეთევან მაღალაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, სევერიან მაისაშვილი, შალვა აბრამიშვილი და პეტერბურგიდან მოწვეული მხატვარ-კოპიისტები: ბორის შევიაკოვი, ტატიანა შევიაკოვა, ნატალია ტოლმაჩევსკაია, რომლებიც ასლ-ფაქსიმილეს შექმნის რთულ და შრომატევად ტექნოლოგიას იყენებდნენ.

გამოფენა 2025 წლის 3 თებერვლამდე გასტანს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7280; ევრო - 2.9738;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5381;**
**100 რუბლი - 2.7548; თურქული ლირა - 0.0794;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6057;**
**1000 სომხური დრამი - 7.0491.**



# კოლხური ხოხბები — ახმეტის ველურ ბუნებაში

**ახმეტის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე, 270 ფრთა კოლხური ხოხობი ველურ ბუნებაში გაუშვეს.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ხოხბების გაშვების პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ველური ბუნების სააგენტოს უფროსი რევაზ ბეჟაშვილი და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი ალექსი ფიცხელაური მონაწილეობდა. ახმეტის მუნიციპალიტეტს კოლხური ხოხბები საჩუქრად ორგანიზაცია „აგრო ქართუმ“ გადასცა.

კოლხური ხოხობი საქართველოს უძველესი ბინადარია და ველურ ბუნებაში გაშვება ხელს უწყობს მისი პოპულაციის მომრავლებასა და აღდგენას.

აღსანიშნავია, რომ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ადგილობრივი ველური სახეობის ფაუნის გამრავლების და ბუნებაში აღდგენის პროექტს 2016 წლიდან ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად, კოლხური ხოხბის, კაკბისა და პორფირიონის (ხონთქრის ქათამი) პოპულაცია იზრდება და მათი ბუნებაში გაშვება ხორციელდება.

2020 წელს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში, კოლხური ხოხბის საწინილე მეურნეობა მოეწყო. მეურნეობა მოიცავს ბუნებასთან ინტეგრირებულ ვოლიერებს, საინკუბატორო-საწინილე ნაგებობებსა და ადმინისტრაციულ შენობას. მეურნეობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კოლხური ხოხბის გამრავლებაა.

# ჩრდილოეთ კორეამ შვიდი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა

**5 ნოემბერს, დილით, ჩრდილოეთ კორეამ იაპონიის ზღვისკენ სულ მცირე შვიდი მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გაუშვა.**

ეს არის მეორე ბალისტიკური რაკეტის გაშვება ჩრდილოეთ კორეიდან რამდენიმე დღის განმავლობაში. რაკეტებმა დაახლოებით 400 კილომეტრი იფრინეს.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა იოშიმასა ჰაიასიმ განაცხადა, რომ ბალისტიკური რაკეტების გაშვება ჩრდილოეთ კორეიდან ემუქრება იაპონიის მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

# 400 წლის პოლონელი „ზოსიას“ სახის აღდგენა შეძლეს!

**მეცნიერებმა, დნმ-ის, 3D ბეჭდვის აპარატის და სახის მოდელირებისთვის საჭირო სპეციალური თიხის გამოყენებით, პოლონეთში, 400 წლის წინ გარდაცვლილი ქალის სახის აღდენა შეძლეს, რომელიც ცრურწმენების შესაბამისად იყო დაკრძალული. ინფორმაციას reuters-ი ავრცელებს.**

მიცვალებული ფეხზე ბოქლომით და კისერზე რკინის ნამგლით იყო დამარხული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვამპირი ეგონათ და მიცვალებულის დაკრძალვის ამ მეთოდს, მისი მკვდრეთიდან აღდგომა უნდა აღეკვეთა.

„ზოსია“, როგორც მას ადგილობრივებმა უწოდეს, 2022 წელს ტორუნის ნიკოლაუს კოპერნიკის უნივერსიტეტის არქეოლოგთა ჯგუფმა იპოვა.

„ეს გარკვეულწილად ირონიულია. იმ ადამიანებმა, რომლებმაც ის დამარხეს, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის არ დაბრუნებულიყო, ჩვენ კი ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ იგი გაცოცხლებულიყო", - განაცხადა შვედმა არქეოლოგმა ოსკარ ნილსონმა.

ნილსონის განმარტებით, ზოსია გარდაცვალების დროს 18–20 წლის იყო. მისი თქმით, ქალის თავის ქალის ანალიზმა აჩვენა, რომ მას ჰქონდა დაავადება, რომელიც გულის წასვლას და ძლიერ თავის ტკივილს იწვევდა. ამასთან, მას, სავარაუდოდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც აწუხებდა.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 8 ნოემბერს**